პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
ოთხშაბათი
27 მაისი
№ 124 (18066)
ფასი 2 კაპ.

ალმაცერობის მეშვიდე ათწლეული

ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში არის დღეები, მოვლენები, რომელთაც დრო და ხანი ვერ გაახუნებს, პირიქით, გავა კიდევ ათწლეულები, ასწლეულებიც და უფრო იკაშკაშებს, მეტად გამობრწყინდება მისი ნათელი. სწორედ ასეთი დღე, ასეთი მოვლენაა 1921 წლის 25 თებერვალი, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში და რომელმაც მრავალჭირგაწამული უძველეს მიწა-წყალზე სათავე დაუდო ათას სიკეთეს. ბოლო მოუღო ჩაგვრასა და უსამართლობას, დაამკვიდრა ძმობა, მეგობრობა, თავისუფლება, შრომელი ადამიანის სიყვარული და პატივისცემა. ეს სხივნათელი დიდი ოქტომბრის მზურვალების ძალაა, ლენინური იდეების ბრიწყინვალის ჭეშმარიტი გამოხატულებაა.

ხიძნელეებთან ვაჟკაცურ ჭიდილში, დიდ შემოქმედებითს შრომასა და რუდუნებაში ექვსი ათეული წელი გავიდა... და აი სწორედ ამ მოვლენის აღსანიშნავი საიუბილეო დღეები გადაიქცა ერთიან ძალად ოჯახში აუკავებული და გალაღებული საბჭოთა საქართველოს აღმასვლის ნათელ დემონსტრაციად, ხალხთა ლენინური მეგობრობის უდიდეს ზეიმად.

მხოლოდ ორი-სამი დღეა, რაც მიწუნარდა ხალდესსწავლო მარშის სახიამოვნო ჰანგები და მშრომელთა მოზეიმე კოლონები მშობლიურ კოლექტივებში ახალ აღმშენებლობითს შრომას შეუდგნენ, მაგრამ დიდხანს, ძალიან დიდხანს არ გაწელდება ის აღფრთოვანება, სიხარული და კმაყოფილება, რაც ზეიმის ყველა მონაწილემ მიიღო და განიცადა. მონაწილე კი ფაქტიურად მთელი საბჭოთა ხალხი იყო, არა მარტო იმიტომ, რომ ამ დღეებში საქართველოს ესტუმრნენ და დიდ ზეიმში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, სხვადასხვა ოდენებს. ქალაქების წარმომადგენელები. საბჭოთა საქართველოს და მისი კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულს, როგორც საკუთარს, ისე ადევნებდა თვალს თითოეული საბჭოთა მშრომელი, განიცდიდა, ხარობდა იმ თვალდასაჩენი, შესანიშნავი საქმეებით, ეხოდენ მოკლე დროში ჩვენთან რომ დაიმყარა და დფესვიანდა.

ახა, გონების თვალი გადავავლოთ 60 წლის წინანდელ რუსეთის განაპირა მხარეს და ახლანდელ საქართველოს, როდენ გულგასახარი, რაოდენ კოლოსალური ცვლილებები მოხდა მის რუკაზე!.. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სრულად გაჭიმნდა ხალხის აღმშენებლობითი გენია. ფაბრიკა ახალი ქალაქები, დაბები და სოფლები, ბევრი, ოდესღაც უკაცრიელი ადგილიც აღორძინდა, ფართოდ გაშალა მხრები ბაღარა, მაგრამ მარად ახალგაზრდა თბილისმა, გადახრუკული ველები გააცოცხლა გიგანტურმა არხებმა, გაჩნდა ახალი ზღვები, აშენდა მძლავრი ფაბრიკები და ქარხნები, სოფლის მეურნეობის ფერმები და კომპლექსები, მილიონობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინები. ახალმშენებლობათა ხარაჩოებით დაფარულია დღეს მთელი რესპუბლიკა.

ექვსი ათეული წლის მწვერვალიდან რომ გავაკვირდეთ ყოველივე შექმნილსა და გაკეთებულს, საქართველოს მშრომელები კარგად ხედავენ, რომ ეს სიკეთე მიღწეულია ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხის ერთიანობითა და ხელშეწყობით, იმ მუდმივი დაინტერესებით, ზრუნვითა და ყურადღებით, რომელსაც საბჭოების ყველა რესპუბლიკისადმი, ყველა ერისა და ეროვნებისადმი იჩენენ ჩვენი მშობლიური პარტია და საბჭოთა მთავრობა, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროო, პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

ამის შესანიშნავი დასტურია თუნდაც ის ბოლოდროინდელი ისტორიული დადგენილებები, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და ჩვენი ქვეყნის მინისტრთა საბჭომ საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარების თაობაზე მიიღეს.

რესპუბლიკის მშრომელებისადმი, კომუნისტებისადმი დიდი ზრუნვისა და ყურადღების კიდევ ერთი თვალნათელი გამოვლინებაა ამ საზეიმო დღეებში პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლა, მისი უშუალო, აქტიური მონაწილეობა საზეიმო ღონისძიებებში, მისი ღრმაშინაარსიანი, მეტად შთამბეჭდავი სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე, საქმიანი და პრაქტიკული გეზის მიმცემი საუბრები რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ერთხელ კიდევ მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემოქმედებითი, ინიციატივიანი მუშაობა და თქვა: „ნამდვილი საზეიმო განწყობილება მაშინ იქმნება ხოლმე, როცა საქმე კარგად მიდის. ეს კი ყველამ დავინახეთ და ვიგრძენით საქართველოში“.

თუ ექვსი ათეული წლის მანძილიდან ბოლო ერთ ათწლეულს გამოვყოფთ, როგორც საბჭოთა საქართველოს წინსვლის, მისი ყოველმხრივ განვითარების ყველაზე საუკეთესო და თვალსაჩინო პერიოდს, აქაც თავიდათავია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყურადღებისა და დახმარების ის მადლი, პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის თაობაზე მიღებული დადგენილებით რომ გამოჩნდა. ეს დოკუმენტი, ეგუშმარიტად ისტორიული მთელი საქართველოს კომპარტიისათვის, იმით იყო მეტადრე დროული და მნიშვნელოვანი, რომ მან მთელი პრინციპულობით მოითხოვა ბოლო მოღებოდა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის პარპაშს, რაზეც თავის დროზე მკაცრად იმსჯელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმმა.

ამ დადგენილების განხორციელებისათვის პრინციპულმა და თანამიმდევრულმა ბრძოლამ კიდევ უფრო ბევრი სასიხარულო ფერისცვალება მოიტანა. როგორც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლის თავის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში არის აღნიშნული, ამას ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის მთელი რიგი სხვა დარგების არნახული წინსვლა და აღმავლობა ნათელყოფს. მაგრამ ვერავითარი ციფრებით, კიდოგრამებითა და მეტრებით ვერ დაიანგარიშებ სოციალურ-პოლიტიკური და აღმშრდელობითი თვალსაზრისით მიღებულ უდიდეს მოგებას, რომელიც საბოლოო ანგარიშით ყოველგვარი სიკეთის წყაროა.

ზედიზედ რვაჯერ საკავშირო გარდამავალი დროშის მფლობელი ჩვენი რესპუბლიკა ხულ უფრო და უფრო ამრავლებს თავის წილს ქვეყნის ერთიან დიდ ყულაბაში. დღეს საქართველო თავის ეკონომიკითა და კულტურით ქვეყნის მოწინავე პოზიციებზეა. გარდამავალი წითელი დროშები ამშვენებს ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკებს, ოლქს, ქალაქებსა და რაიონებს, მრავალ შრომითს კოლექტივს. ხულ ცოტა ხნის წინათ ბუხაზეთში, აჯარასა და სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაულები შესანიშნავ დათვალიერებად გადაიქცა იმისა, თუ როგორ აყვავდნენ და გაიფურჩქნენ ისინი საბჭოეთის დიდი მზის ქვეშ.

განსაკუთრებით ვამაყობთ ჩვენი წითელდროშოვანი მეათე ხუთწლედით, როცა არა მარტო გეგმების შესრულებით ისახელეს თავი ჩვენმა მშრომელებმა, არამედ იმითაც, რომ ბევრი კეთილი ნერგი დაიერგა სამომავლოდ და ახალს, მეთერთმეტე ხუთწლედს დაუმკვიდრა კარგი საფუძველი.

„მთლიანად,— თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საზეიმო სხდომაზე, — რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის საერთო დოვლათში ახლა ნიადაგ იზრდება. ათი წლის მანძილზე მრეწველობის პროდუქციის წარმოება გაორკეცდა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა. მეათე ხუთწლედის დავალებები ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ვადამდე შესრულდა. ეს, ამხანაგებო, კარგი მიღწევებია!“

სწორედ მეათე ხუთწლედში ამოქმედდა ენგურჰესი, წარმატებით ვითარდებოდა შავი და ფერადი მეტალურგია, ფართოდ გაშალა მხრები დიდმა ქიმიამ, განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო ქიმიამ. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ნავთობის მოპოვება რესპუბლიკაში თითქმის 188-ჯერ გაიზარდა. საქართველოს მანქანათმშენებლობის პროდუქციის მოცულობამ 2,6-ჯერ გადაამეტა ამ ათი წლის წინანდელ დონეს. ამეცამად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საქართველოს მარკით გადის ასზე მეტი სახეობრივი სამრეწველო პროდუქცია. ჩვენი რესპუბლიკა უშვებს სამაგისტრალო ელმავლებსა და თვითმფრინავებს, სატვირთო ავტომანქანებსა და წყალქვეშაფრთიან ხაზოვან კატარღებს, რთულ ჩარხებსა და ზუსტ ხელსაწყოებს, საანგარიშო-გამოსათვლელ მანქანებსა და პლასტმასის ნაწარმს...

ჯერ არნახული, რეკორდული მოსავლის მიღება უპატაკეს სამშობლოს ჩვენმა გამრჯე მეჩაიეებმა და მეციტრუსეებმა. აღმავალი გზით ვითარდება მეცხოველეობა, მებოსტნეობა, სოფლის მეურნეობის ყველა დარგი. არა თუ რესპუბლიკის, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გასცდა საქართველოს მხატვრების, თეატრალური ხელოვნების, კინოს, კულტურის სხვა მუშაკთა, ჩვენი სპორტსმენების სახელი.

ერთი სიტყვით, ყველას და ყველაფერს ვერ ჩამოთვლი. დღეს ამ წარმატებებს რომ ვხედავთ და აღვნიშნავთ, ამასთან ვეძებთ იმ ნაკლოვანებათა გამოსწორების, იმ პრობლემათა გადაჭრის გზებსაც, რომლებიც დიდ მიღწევათა მიუხედავად, კვლავაც არის.

ჩვენ განსაკუთრებულ ვითარებაში ვიდღესასწაულეთ საბჭოთა საქართველოს და მისი კომპარტიის შექმნის სახელოვანი იუბილე. ჯერ სამი თვეც არ გასულა, რაც მუშაობა დაამთავრა სკკპ XXVI ყრილობამ, რომელმაც განსაკუთრებით აღნიშნა ერთიანი საბჭოთა ოჯახის ძალა და მთელ საბჭოთა ხალხს დაუსახა გრანდიოზული სამომავლო ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაში, უეჭველია, კვლავაც თვალსაჩინო წვლილს შეიტანენ საქართველოს კომპარტია, კომუნისტები, მშრომელები, სწორედ ყრილობის გადაწყვეტილებათა ჭარგაზე მოქსოვენ ისინი უფრო ლამაზ და წარმტაც პრაქტიკულ საქმეებს.

ამის შესანიშნავი დასტურია ის შრომითი შემართება, რომელიც კიდევ უფრო გაალიერა საიუბილეო სოციალისტურმა შეჯიბრებამ. საბჭოთა საქართველოს ჭეშმარიტი სადიდებელია ის შრომითი პატაკები, რომლებიც საზეიმო დღეებში დაუსრულებელ ნაკადად მოდიოდა შრომითი კოლექტივებიდან. იუბილესათვის საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა დავალების გადამეტებით 80 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ წარმატებით დაამთავრა საგაზაფხულო სახოფლოსამეურნეო სამუშაოები, მნიშვნელოვნად გაადიდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება.

ახლა, საზეიმო დღეების შემდეგაც, ერთი წუთითაც კი არ უნდა შენელდეს რესპუბლიკის მშრომელთა შრომისა და აღმშენებლობის ტემპი, თავი უნდა მოვუყაროთ ყველა რეზერვსა და ხაშუალებას, რომ ხაიუბილეოდ დათქმული ყველამ აუცილებლად შეასრულოს, მეთერთმეტე ხუთწლედის ეს პირველი წელი ყველა შრომითმა კოლექტივმა წარმატებით დაამგვირგვინოს.

დღეს ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია საბჭოთა საქართველოს სახელი და ავტორიტეტი, გულის ფიცარზე უნდა დაიწეროს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ის მითითებაც, რომ კიდევ უფრო გონივრულად, სრულად გამოვიყენოთ არსებული რეზერვები სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მეტადრე ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების მხრივ, აღვკვეთოთ მრეწველობაში კადრების დენადობა და ხამუშაო დროის დანაკარგები, სწრაფად ავითვისოთ ახალი ხიმძლავრეები, დავაჩქაროთ მთელ რიგ მსხვილ ხაწარმოთა რეკონსტრუქციის, ახალგაზრდა ნავთობმრეწველობის, მანგანუმის, სპილენძის მადნის მომპოვებელ ხიმძლავრეთა განვითარების ტემპი. ბევრია გასაკეთებელი აგრეთვე ხაბინაო და სხვა სოციალური პრობლემების გადაჭრელად.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, მის ბრძნულ მითითებებს მხურვალედ ეხმაურებიან ხაქართველოს ქალაქებისა და სოფლების მშრომელები. ისინი სრულ მზადყოფნას აცხადებენ და თავიანთ ალალ ხმას უერთებენ ხაზეიმო სხდომის მონაწილეთა მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი გაგზავნილ წერილს, რომელშიც ნათქვამია: მუდამ ვიქნებით მოწოდების სიმაღლეზე, რათა კიდევ უფრო დავამშვენოთ ჩვენი მიწა-წყალი, რათა წალკოტად გადავაქციოთ ჩვენი ბაღები, რათა კიდევ უფრო ძალუმ ნაკადად ემატოს ჩვენი რესპუბლიკის შრომა ხაყოველთაო-ხახალხო მიღწევათა მძლავრ მდინარეს!

ხაქკდესის ცნობა

პროგრამა წარმატებით შესრულდა

კოსმონავტები ვლადიმერ კოვალიონოკი და ვიქტორ სავინიხი დედამიწაზე დაბრუნდნენ

1981 წლის 26 მაისს მოსკოვის დროით 16 საათსა და 38 წუთზე დედამიწაზე დაბრუნდნენ კოსმონავტები ამხანაგები ვლადიმერ ვასილის ძე კოვალიონოკი და ვიქტორ პეტრეს ძე სავინიხი, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს „სალუტ-6“-„სოიუზ-“ ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის ბორტზე ფრენის დაგეგმილი პროგრამა.

„სოიუზ ტ-4“ ხომალდის დასაშვები აპარატი დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში, ქალაქ ჯეზყაზღანის აღმოსავლეთით 125 კილომეტრზე.

დაშვების ადგილზე მოწყობილმა კოსმონავტთა სამედიცინო შემოწმებამ ცხადყო, რომ მათ კარგად გადაუტანიათ ორბიტული ფრენა და დედამიწაზე დაბრუნება.

(დასასრული მე-2 გვ.).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ამხ. ვ. ვ. კოვალიონოკის ლენინის ორდენითა და „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე medlით დაჯილდოების შესახებ

„სალუტ-6“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** medali კოსმონავტ მფრინავს ამხ. ვიქტორ პეტრეს ძე **სავინიხს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1981 წლის 26 მაისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ვ. პ. სავინიხისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდების მინიჭების შესახებ

„სალუტ-6“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით კოსმონავტიკური ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდება ამხ. ვიქტორ პეტრეს ძე სავინიხს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1981 წლის 26 მაისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

კოსმონავტი მფრინავის ამხ. ვ. პ. სავინიხისათვის საბჭოთა კავშირის გმირის ოქროვანი მედლის მინიჭების შესახებ

„სალუტ-6“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** medali კოსმონავტ მფრინავს ამხ. ვიქტორ პეტრეს ძე **სავინიხს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1981 წლის 26 მაისი.

შესანიშნავი გამარჯვება კოსმოსის მშვიდობიან ათვისებაში

მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებსა და კოსმონავტებს, ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ „სალუტ-6“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით ხანგრძლივი პილოტირებული კოსმოსური ფრენის და „ინტერკოსმოსის“ პროგრამის შესაბამისად საერთაშორისო ეკიპაჟების ფრენის მომზადებასა და წარმატებით განხორციელებაში

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ ახალი შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა კოსმოსის მშვიდობიან ათვისებაში. წარმატებით დასრულდა „სალუტ-6“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით საბჭოთა კოსმონავტების ხანგრძლივი პილოტირებული ფრენისა და „ინტერკოსმოსის“ პროგრამის შესაბამისად საერთაშორისო ეკიპაჟების ფრენის პროგრამა.

კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების დარგში საბჭოთა კავშირის უთავსახარბიელი მიღწევები ფართოდ არის ცნობილი მთელი მსოფლიოსათვის. ოცი წლის წინათ სსრ კავშირის მოქალაქის ი. ა. გაგარინის პირველმა კოსმოსურმა ფრენამ „ვოსტოკ“ ხომალდით 108 წუთს გასტანა. „სალუტ-6“ ორბიტული სამეცნიერო სადგურის სამი წელი და რვა თვეა ფუნქციონირებს, აქედან დაახლოებით ორი წელი — პილოტირებული რეჟიმით. ახეთი ხანგრძლივობის კოსმოსური პროგრამა პირველად განხორციელდა. ეს შესაძლებელი გახდა საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის მეოხებით, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თანამიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის ათვისების გეგმებს.

„სალუტ-6“ ორბიტული სადგურის ბორტზე შესრულდა ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარებისა და სახალხო მეურნეობაში პრაქტიკული გამოყენების ინტერესების შესაბამისი გეოფიზიკური, ასტროფიზიკური, ტექნოლოგიური, ფიზიკურ-ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევისა და ექსპერიმენტების დიდი კომპლექსი. მოეწყო ედედამიწის ბუნებრივი რესურსების ფართო კვლევა, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ტერიტორიის ფოტოგადაღება. შემენილია კოსმოსური ფრენის პირობებში სხვადასხვა მასალისა და ზედაპირული საფარველის მიღების ტექნოლოგიის დახვეწის მნიშვნელოვანი გამოცდილება. განხორციელებული კვლევისა და ექსპერიმენტების შედეგებს იყენებენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო ორგანიზაციები. უწონობის პირობებში მიღებულია ახალი მასალების ნიმუშები.

მაღალი ეფექტიანობა ცხადყო პრინციპულად ახალმა სისტემამ — „სალუტ-6“ სადგურის რეგულარულმა მომარაგებამ „პროგრეს“ ავტომატური სატვირთო ხომალდების მეშვეობით მიწოდებული სათბობით, სხვადასხვა მასალებით, მოწყობილობითა და ხელსაწყოებით. წარმატებით შესრულდა ორბიტული სადგურის ცალკეული სისტემებისა და მოწყობილობის აღდგენის რთული სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები, რამაც შესაძლებელი გახადა არსებითად გაზრდილიყო მისი ფუნქციონირების ხანგრძლივობა. „სალუტ-6“ სადგურთან ერთობლივი ფრენის დროს წარმატებით განხორციელდა „სოიუზ ტ“ ხერიის სრულყოფილი კოსმოსური ხომალდის გამოცდა და შემდგომი დახვეწა, რომლის გამოყენება არსებითად გაზრდის კოსმოსური სივრცის კვლევის ეფექტიანობას. დამთავრდა ცვლადეკამპიანი ხანგრძლივმოქმედი ორბიტული სადგურების დახვეწის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი, მიღებულია ახალი მონაცემები, რომლებიც მუდმივმოქმედი ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსების შექმნის პერსპექტივებს ხსნავს.

„სალუტ-6“ სადგურის ფრენის პერიოდში კიდევ უფრო განვითარდა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა ერთობლივი მუშაობა „ინტერკოსმოსის“ პროგრამის შესაბამისად კოსმოსური სივრცის კვლევისა და მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საქმეში.

ორბიტული სადგურით და კოსმოსური ხომალდებით წარმატებით იფრინა ცხრა საერთაშორისო ეკიპაჟმა, რომლებშიც შედიოდნენ ხაბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის, კუბის რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის კოსმონავტები. საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მეცნიერთა მიერ მომზადებული პროგრამით კოსმოსში განხორციელებული ერთობლივი მეცნიერული კვლევა სოციალიზმის ქვეყნების მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის შესანიშნავი მაგალითია.

„სალუტ-6“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის ბორტზე მიმდინარე სამუშაოები დირსეულად დაგვირგვინა მეზუთე ხანგრძლივმა ექსპედიციამ. კოსმონავტებმა ვლადიმერ ვასილის ძე კოვალიონოკმა და ვიქტორ პეტრეს ძე სავინიხმა წარმატებით შეასრულეს 75 დღის ფრენის პროგრამა, რომლის დროსაც მთლიანად დასრულდა მეცნიერული კვლევის და ექსპერიმენტების კომპლექსი, განხორციელდა საერთაშორისო ეკიპაჟების მიერ სადგურის წვეთის ორი ექსპედიცია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის კოსმონავტთა მონაწილეობით.

გულითადად გილოცავთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო ვლადიმერ ვასილის ძე კოვალიონოკ და ვიქტორ პეტრეს ძე სავინის, ფრენის წარმატებით დამთავრებას, სამშობლოს სასპატიო დავალების სანაქებოდ შეხრულებას.

„სალუტ-6“ სადგურის ორბიტაზე მუშაობის პერიოდში ხუთი ხანგრძლივი პილოტირებული ფრენისა და თერმეტი წვეთის ექსპედიციის მოწყობა უნიკალური კოსმოსური ექსპერიმენტია, რომელმაც ცხადყო საბჭოური კოსმოსური ტექნიკის ჩინებული ხაექსპლოატაციო თვისებები და დიდი ხაიმედოობა.

ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭო პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა ხაბჭო მხურვალედ ულოცავენ კოსმოსის კვლევაში მოპოვებულ ახალ მიღწევას მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, კოსმონავტებს, კოსმოდრომის ფრენის მართვის ცენტრის, კოსმონავტთა მზადების ცენტრის, ხაკომანდო-ხაზომი და ხაძიებო-ხაშველი კომპლექსების ხპეციალისტებს, ყველა იმ კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობდნენ „სალუტ-6“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-ხაკვლევი კომპლექსით ხანგრძლივი პილოტირებული ფრენისა და „ინტერკოსმოსის“ პროგრამით საერთაშორისო ეკიპაჟების ფრენის მზადებასა და წარმატებით განხორციელებაში.

ხაბჭოური კოსმონავტიკის ახალი წარმატება დიდმნიშვნელოვან წვლილს მატებს სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანების გადაწყვეტას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს კოსმოსური სივრცის შემდგომ შესწავლასა და ათვისებას მეცნიერების, ტექნიკისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ მიღწევებს თქვენს პასუხსაგებ მუშაობაში — კოსმოსის მიზანმიმართულ კვლევაში მშვიდობის, პროგრესის, დედამიწის ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საკავშირო თათბირი

25-26 მაისს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების ხელმძღვანელი შემადგენლობის საკავშირო თათბირი. იგი მიეძღვნა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ამოცანებს, ორმლებსაც საფუძვლად უდევს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ვ. ანდროპოვმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელსაც დამსწრენი მხურვალედ და გულითადად შეეგებნენ.

თათბირის მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, რომელშიც აღუთქვეს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ პარტიის მიერ დასახული ჩვენი სოციალისტური სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანების შესასრულებლად.

სურათზე: აეროდრომზე შეხვედრის დროს. საკდეს-ხაქინფორმის ტელეფოტო.

ვიზიტად მოსკოვში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 26 მაისს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა იორდანიის ხაშიმიანთა სამეფოს მეფე ჰუსეინ ბენ თალალი.

აეროდრომზე ჰუსეინ ბენ თალალს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი).

მაღალი მომთხოვნელობის პოზიციებიდან

26 მაისს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა მანქანათმშენებელთა საკავშირო თათბირი. იგი ეძღვნება პროდუქციის ხარისხისა და ტექნიკური დონის ამაღლების და ლითონის დაზოგვის საკითხებს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ ამხანაგები ა. პ. კირილენკო, ნ. ა. ტიხონოვი, ვ. ი. დოლგიხი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ა. პ. ალექსანდროვი, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, წამყვანი სპეციალისტები, ინჟინრები და მეცნიერები.

შეკრებილნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას თათბირის მონაწილეებისადმი. მისალმების ტექსტი წაიკითხა ა. პ. კირილენკომ.

სამამულო მანქანათმშენებლობამ, აღნიშნეს თათბირის მონაწილეებმა, ხუთწლედი მძლავრი მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალით დაიწყო. განვითარებულია იმ პროდუქციის გამოშვების სიმძლავრენი, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს განსაზღვრავს.

თათბირზე კონკრეტული ამოცანები დაუსახეს ქვეყნის წამყვან ქარხნებსა და გაერთიანებებს, რომელთა წვლილი ბევრად განსაზღვრავს მანქანათმშენებლობის უმნიშვნელოვანესი პროდუქციის ტექნიკურ დონეს და ხარისხს, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხარისხს, მის კულტურას და ეკონომიურობას.

ჯილდო ინსტიტუტს

ეკონომიკის მეცნიერების განვითარებაში მიღწეული წარმატებებისა და მეცნიერთა კადრების მომზადებისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. 25 მაისს მეცნიერთა სახლში გაიმართა ინ

ამოცანები დასახულია, ახლა მთავარია საქმე!

მოვიკოვებთ ახალ წარმატებებს, ავამოქმედებთ რეზერვებს,

მივაღწევთ უკეთეს მაჩვენებლებს—ასეთია საქართველოს მშრომელთა

მტკიცე გადაწყვეტილება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა კასუხად

საბჭოთა საქართველოს ნათელი დღესასწაული დამთავრდა. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში საზეიმო მორთულობაც ჩამოხსნეს, მაგრამ ჩვენს გულსა და მეხსიერებაში წარუშლელია ინტერნაციონალური მეგობრობისა და ძმობის, სამშობლოს აყვავებისა და აღზევების უჩვეულო ზეიმის დღეები.

რა დაგვავიწყებს ამ ზეიმზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ შთამბეჭდავ სიტყვას, რომელმაც სოფლის მშრომელებს ენთუზიაზმი და ენერგია გაგვიორკეცა, დასახული მაღალი მიჯნების მიღწევის რწმენა განგვიმტკიცა, უფრო ნათლად დაგვანახა გადასაწყვეტი ამოცანები.

ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელებისათვის განსაკუთრებით საგულისხმოა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოწოდება, რომ რესპუბლიკაში მეცხოველეობის დარგის შედეგები უნდა გაუმჯობესდეს.

ამ დამკვრელურ ფრონტზე ჩვენ, მართალია, რამდენადმე გაგუმჯობესეთ მდგომარეობა, მაგრამ ჯერ კიდევ ყველა შესაძლებლობას ვერ ვიყენებთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მკვეთრი გაზრდებისათვის. იმისათვის, რომ ამ დარგში დავძლიოთ სიძნელეები და მოწინავე პოზიციებზე გავიდეთ, ერთ-ერთ დიდ რეზერვად მიგვაჩნია პირადი დამხმარე მეურნეობის განვითარება. უკვე დავიწყეთ მოსახლეობისათვის კოოპერირების წესით პირუტყვის გაცემა. ჩვენი ვარაუდით სოფლის მოსახლეობა წლეულსვე სახელმწიფოს მიჰყიდის 1020 ცენტნერ ხორცს, 110 ცენტნერ რძეს და 100 ათას ცალ კვერცხს. ახლო მომავალში ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო გადიდდება. ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ საიმედოდ უზრუნველყოთ ხალხი სასურსათო პროდუქტებით.

დ. ქათამაძე,
ქ. ტყიბულის ზონის საწარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

● ●

დაუვიწყარია საბჭოთა საქართველოს საიუბილეო ზეიმი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის, თითოეული თბილისელისათვის. ეს იყო შთამბეჭდავი, სიხარულითა და ბედნიერებით აღსავსე მოღვაწეთა დღეები.

მშრომელებმა დიდი გულისყურით მოვისმინეთ აგელაზე საპატიო სტუმრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვა. ეს არის რესპუბლიკის მშრომელთა საქმიანობის ღრმა ანალიზი, წარმატებებისა და ნაკლოვანებების ნათელი სურათი.

გელადის ძეგლი ყაზბეგში

ყაზბეგის რაიონული კულტურის სახლის ეზოში საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის საიუბილეო ზეიმის დღეებში გაიხსნა მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგზე გამოვიდნენ პარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივანი გ. შიხაშვილი, ვეტერანი კომუნისტი ა. ქირიკაშვილი, კომკავშირის ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივანი ს. მარსაგიშვილი და სნოს საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლე მ. გელაშვილი. შემდეგ ყაზბეგის პიონერთა სახლის წარმომადგენლებმა მიტინგის მონაწილეებისათვის გამართეს კონცერტი.

ძეგლის ავტორია მოქანდაკე ჯ. იმედაშვილი, არქიტექტორი — მ. ყამარაული („კომუნისტის“ კორ.).

ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის კოლმეურნეობის წევრი, მგრი დედა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ მშრომელები დიდი ინტერესით გამოეხმაურნენ საქართველოს მე-60 წლისთავად დაკავშირებით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. სურათზე: თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ ფართო მოხმარების საკონლის დამამზადებელი საამქროს პოლიტინფორმატორი თინა ონაშვილი ახალგაზრდა თანამშრომლებს მომავალ გეგმებს აცნობს.

ჯ. ლომაძის ფოტო.

...მე ქვეყნად უძვირფასესი ათი ადამიანი მყავს — ჩემი შვილები. ყველა დიდას უნდა თავისი ბავშვებისათვის ბედნიერება, ჯანმრთელობა, სიხარული. ყოველივე ეს კი მაშინ არის, როცა მათი ცხოვრების გზას დაბნეთს მშვიდობიანი მზე, და არა ავიონქვეშების ალი, როცა ბავშვს გაზაფხულის ჭიქა-ქოხილი ქვემეხების გრიალი არ ჰგონია. როცა არ სმენია სიტყვერა განგაშის ხმა. ამ მხრივ ბედნიერი დედა ვარ: ჩემს შვილებს არასოდეს უნახავთ ომი...

როცა ვისმენდი ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვას თბილისში რესპუბლიკის იუბილეადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, ვერ ვიკავებდი სიხარულის ცრემლებს იმის გამო, რომ მეამაყებოდა ჩვენი ქვეყანა, პარტია, რომლებიც მუდამ მშვიდობის გზით მიაბიჯებენ. კარგად თქვა ლეონიდ ილიას ძემ, როცა დაიმოწმა დიდი რუსთაველის სტრიქონები — „დიდთა ხმა მოერევის, მცირე დასწყვავს ნაბერწკალია“.

კარგი იქნებოდა ყურად ეღოთ ეს ბრძნული მოწოდება, მიებაძათ მისთვის ადამიანებს ყველა ქვეყანაში, ყველა კონტინენტზე დღეს, როცა უკვე გამოჩნდა ჩვენ „წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის პარმაღი!“ ამ ახალ ათასწლეულში ხომ ჩვენმა შვილებმა, ჩემმა ხათუნამ და ელდარმა, ტრისტანმა და მურთაზმა, დათომ და ენვერმა, მამუკამ და ელგუჯამ, ელიკომ და ეკამ, დედამიწის ყველა ბავშვმა უნდა იცხოვროს. სწორედ ამიტომ, ჩვენ ყველა, განსაკუთრებით კი დედები, ესოდენ მადლიერი ვართ ლეონიდ ილიას ძისა. დედის მადლობას გიხდით მშვიდობისათვის, რომელსაც თქვენ იცავთ პლანეტის ყველა ბავშვისათვის!

მ. სვირავა,
ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის კოლმეურნეობის წევრი, მგრი დედა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

✦ ✦

ეს-ეს არის გადაიქუხა საზეიმო სალუტებმა თბილისის მშვიდობიან ცაზე. დამთავრდა საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 60 წლის თავისადმი მიძღვნილი დემონსტრაცია. სოლოცრად შთამბეჭდავი, ჭეშმარიტად გრანდიოზული იყო საქართველოს მშრომელთა ზეიმური მსვლელობა კონსტიტუციის მოედანზე.

დღესასწაული გაგვიორკეცა, სიხარული გაგვიმრავლა ჩვენს ზეიმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ჩამოსვლამ. ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს ფრთას ასხამს ესოდენ მაღალი შეფასება თითოეული ჩვენგანის შრომისა და ღვაწლისა, ავალდებულებს, რომ მეტი გარჯითა და • მფწადინებით ამრავლოს საბჭოთა საქართველოს წარმატებები.

ჩვენს რესპუბლიკას დედამიწის მშვენიერი კუთხე უწოდა ძვირფასმა სტუმარმა, სადაც ცხოვრობს გულღია ხალხი, უძველესი დროიდან რომ იცის ფასი ადამიანის კეთილშობილებისა. შთაგონებული შრომისა, მხედრული მამაცობისა და მეგობრობაში ერთგულებისა.

უმრავლოს ეს კეთილშობილური თვისებები ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენს მომავალ ცვლას; ახალ-ახალი ზნეობრივი სიმაღლეები, ახალ-ახალი შემოქმედებითი მწვეფვალები დაელაშქროს კომუნისტური მომავლისაკენ სავალ გზაზე.

ნ. ტარიელაშვილი,
კ. უშინსკის სახელობის № 1 რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.

● ●

ბათუმში საქალაქო კომიტეტთან 17 საკოორდინაციო საბჭო, ჯგუფი და კომისიაა შექმნილი. აი ზოგიერთი მათგანი: წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სასურსათო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების, სათბობ-ენერგეტიკული საშუალებების გამოყენების, დაგეგმვის გაუმჯობესებისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, საქალაქო და კომუნალური მეურნეობის მართვის და სხვა. ჯგუფებსა და კომისიებს მოცდილება შეეძინეს. წარმატებულ მუშაობას დიდად შეუწყო ხელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „დაგეგმვის გაუმჯობესების და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“. სწორედ იმხანად შეიქმნა საქალაქო საკოორდინაციო კომისია, რომელმაც წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. მუშაობის მოსამზადებელი ეტაპიდან ბათუმელი კომუნისტები პრაქტიკულ საქმიანობაზე გადავიდნენ. მოეწყო პრაქტიკული კონფერენციები, გამოცდილების შესაძენად, ისინი იყვნენ მოსკოვისა და თბილისის რაიონულ პარტიულ კომიტეტებში, სხვადასხვა საწარმოში, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. ამის შემდეგ ექსპერიმენტის წესით რამდენიმე საწარმო, კერძოდ, საყოფაცხოვრებო, მანქანათსაშენებელი, ელექტრომექანიკური, ტრანსფორმატორების ქარხნები, სამკერვალო გაერთიანება და სხვა საწარმოები გადავიდნენ დადგეგმვის ახალ სისტემაზე. დღეისათვის შედეგი ურიგო როდია.

ტრანსფორმატორების, მანქანათსაშენებელი, ელექტრომექანიკური ქარხნების, ხის დამუშავებელი კომბინატის მიერ გამოშვებული პროდუქციის 60 პროცენტზე მეტი ხარისხის ნიშნით გამოდის. კარგი მაჩვენებლები აქვთ საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენებელ და ნავთობგადასამუშავებელ ქარხნებს. ელექტრომექანიკურ ქარხანაში ზ. სიმონიშვილისა და ხის დამამუშავებელ კომბინატში რ. ბურძგლას ბრიგადები მთელ პროდუქციას ხარისხის ნიშნით უშვებენ.

საქალაქო კომიტეტის ბიურომ წლეულს იანვარში განიხილა საკითხი — „გამოშვებული პროდუქციის ეფექტიანობისა და ხარისხის შესახებ“. ამქამად 19 საწარმოში დანერგილია ხარისხის კომპლექსური მართვის სისტემა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა საწარმოში როდი ექცევა ჯეროვანი ყურადღება წარმოების ეფექტიანობასა და პროდუქციის ხარისხს. ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი ფორმალურად ეკიდება. ზოგან ნელა ინერგება პროგრესული ტექნოლოგია, არ იყენებენ რეზერვებს, ირღვევა ტექნოლოგიური პროცესები. ეს კი იწვევს პროდუქციის ხარისხის დაქვეითებას. პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების უინიციატივობაა მთავარი მიზეზი, რომ რეზერვებს ვერ ავლენენ, შესაძლებლობებს ეუდად იყენებენ მანქანათსაშენებელი და მექანიკური ქარხნების კოლექტივები. აი, რატომ არის, რომ მათი პროდუქციის ხარხლოდ 17 პროცენტმა დაიმსახურა უმაღლესი შეფასება. არის ისეთი საწარმოებიც, სადაც სახელმწიფო ხარისხის ნიშნით საერთოდ არ უშვებენ პროდუქციას.

„თითოეული შრომითი კოლექტივი უნდა ისწრაფვოდეს იყოს საუკეთესო ქალაქში, რესპუბლიკაში, დარგში...“ ითქვა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე. ბათუმში ბევრია მოწინავე საწარმო. მაგალითად, ხისდამამუშავებელმა კომბინატმა, რომლის პროდუქციამაც შორს გაითქვა სახელი, სოციალისტურ შეჯიბრებაში მეათე ხუთწლედის მანძილზე 19 კვარტალში მოიპოვა გამარჯვება, აქედან 17-ჯერ — ზედიზედ. მაგრამ მოწინავეთა გვერდით არიან ისეთებიც, რომლებსაც შემცირების მიზნით კორექტირებული გეგმების შესრულებაც უძნელდებათ. მიზეზი? ნელა ნერგავენ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს, მცირეა მათი შრომის ნაყოფიერება, თავს ვერ აღწევენ წუნს.

მეთერთმეტე ხუთწლედის, ისევე როგორც წინა ხუთწლედის მთავარ ამოცანად კვლავაც რჩება საწარმოთა აღჭურვა მოწინავე, თანამედროვე ტექნიკით, საწარმოო ფონდების მაქსიმალური გამოყენება, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განმტკიცება, ახალი სახეობის პროდუქციის ათვისება, ხარისხის ამაღლება. ასეთი კარდინალური საკითხების გადასაწყვეტად პარტიის საქალაქო კომიტეტს შემუშავებული აქვს გეგმები, რომლებიც გააცნეს თითოეულ საწარმოს. აქ ვნახეთ ნუსხა საწარმოებისა, თუ ახალი ხუთწლედის მანძილზე რომელი რამდენი პროცენტით გაზრდის ხარისხისნიშნიან პროდუქციას, რამდენი დანადგარი და ნაკადური ხაზი დამონტაჟდება, რამდენი სახეობის ახალ პროდუქციას აითვისებენ, რა ნაწარმს წარადგენენ ატესტაციაზე.

წელს შარშანდელთან შედარებით 12,2 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია უნდა გამოუშვან ქალაქის საწარმოთა კოლექტივებმა. ეს, ცხადია, მოითხოვს ენერგიის მეტ დაძაბვას, არსებული რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას, საშუალო დროის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებას და, რაც ყველაზე მთავარი რეზერვია, ადამიანთა აქტიურობის შემდგომ განვითარებას, ურთიერთმომკითხველობის გაძლიერებას, სანმუშო დისციპლინას და პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციის საზრუნავიც არის, რომ სურსათი უხვად იყოს მაღაზიებში, ბაზრში, თითოეულ ოჯახში, მუშათა სასადილოებში, რესტორნებში და სხვა სავაჭრო ორგანიზაციებში. მაგრამ სიუხვის შექმნა, რა თქმა უნდა, მხოლოდ პარტიის საქალაქო კომიტეტს არ შეუძლია. დოვლათის შექმნა საერთო-სახალხო საქმეა, ამიტომაც არის, რომ საქალაქო კომიტეტს, სასურსათო პროგრამის შემმუშავებელ კომისიას შეუმუშავებია ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. იგი ითვალისწინებს, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტების ერთჯერად გაცვლას, ისე მომწოდებელ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირს, დამხმარე მეურნეობების უფრო ეფექტიან გამოყენებას, საკმისიოო ვაჭრობის, ქსელის გაზრდას, პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას და სხვა. საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობა კარგად აქვთ შეგნებული საწარმოთა კოლექტივებს, ამით უნდა აიხსნას, რომ თითოეულ მათგანს გადაუწყვეტია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ამ სახალხო და სახელმწიფოებრივ საქმეში. მაგალითად, გათხილების სისტემის მუშაკებმა იკისრეს წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 56 ტონა ხორცი, აჭარკოოპკავშირმა — 24 ტონა, კურორტების მართვის საბჭომ — 16, ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ და საქართველოს საზღვაო სანაოსნომ 17-17 ტონა. მთ არც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, სატრანსპორტო გაერთიანება და სხვა საწარმოები ჩამორჩებიან.

კომისია ეხმარება საწარმოებს გამონახონ შიდა რეზერვები, კავშირს ამყარებს სხვადასხვა კვლევითს ინსტიტუტთან. ძიებას შედეგიც მოჰყვა. მაგალითად, უალკოჰოლო სასმელების ქარხნისა და ციტრუსკომბინატის ერთობლივი ღონისძიებებით ჩამოასხამენ ახალი ტიპის სასმელს, რომელიც პროდუქციის გამოშვებას 2 მილიონი მანეთით გაზრდის. ასევე სხვა საწარმოებშიც მოინახა რეზერვები ნარჩენების სრული გამოყენების სახით, რითაც გაიზრდება ასორტიმენტი და პროდუქციის გამოშვების მოცულობა.

ახლა, როცა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი კვარტალი უკან მოვიტოვეთ, ნათლად ჩანს გაწეული მუშაობის შუქ-ჩრდილები. ათობით საწარმომ მნიშვნელოვნად გაუსწრო გრაფიკს, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც, როგორც იტყვიან, ჯერ კიდევ კოჭლობენ, სხვის წარმატებებს ეფარებიან.

დიდია მშრომელთა შემოქმედებითი შესაძლებლობები. ახლა მთავარია პარტიის საქალაქო კომიტეტმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა აქტიურად გამოიყენონ სასარგებლო სიახლეები და შესაძლებლობანი, ხალხის ენერგია, ცოდნა და გარჯა უნარიანად წარმართონ პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესასრულებლად.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კონტროლზე მკითხველის წერილებზე

წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო ჯაპანა-ქვიანის გზის უვარგისობაზე, რეგირებისათვის პარტიის ლანჩხუთის რაიკომს გადავუგზავნეთ. ამის თაობაზე რაიკომმა მოგვწერა:

წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ჯაპანა-ქვიანის გზის კაპიტალური შეკეთება დავალებული ჰქონდა „საქსოფლგზიმშენის“ № 14 მოძრავ მექანიზებულ კოლონას, რომელმაც ვერ უზრუნველყო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულება. წლეულს, ჯაპანა-ქვიანის გზის კაპიტალურ შეკეთებას განაგრძობს ლანჩხუთის საგზაო უბანი, რისთვისაც გამოყოფილია საჭირო თანხები. საგზაო უბანი პირველი ივლისისათვის დაამთავრებს მუშაობას. ეს რედაქციას აცნობა პარტიის ლანჩხუთის რაიკომის მდივანმა ი. წილოსანმა.

კეთილი და პატიოსანი. იმედია, ჯაპანა-ქვიანის მშრომელები უგზოობის შესახებ რედაქციას მესამედ აღარ მოსწერენ, მაგრამ ერთი რამ მაინც საკითხავია: რა იღონეს „საქსოფლგზიმშენის“ № 14 მოძრავი მექანიზებული კოლონის მუშაკების მიმართ, რომლებმაც ფაქტიურად ჩაშალეს გზის მშენებლობის სამუშაოები?

✦ ✦

დიდუბის სამგზავრო ავტოსადგურიდან ავტობუსი თბილისი-ქვემოქალა ისედაც დაგვიანებით გავიდა და იქვე გაიჩერეს, მძღოლს ავტობუსი ჩამოართვეს იმ საბაბით, რომ ავტობუსში უბილეთო მგზავრები არიანო. ეს წუთის შემდეგ ავტოსადგურის ერთ-ერთ მუშაკს შევეკითხე, როდის გაუშვებდნენ ავტობუსს. ვიგრძენი, მას ჩემი სამართლიანი მოთხოვნა არ ესიამოვნა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთმა კონტროლიორმა დიდი შეურაცხყოფა მომაყენა. ალბათ ხელითაც შემეხებოდა, მაგრამ, ჩემს ბედზე, ავტობუსს წასვლის ნება დართეს და გზას გავუდექით. ამ და სხვა ფაქტებზე სწერდა რედაქციას აგრონომი, სკკპ წევრი ო. ოლაძე.

რედაქციამ წერილი რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გადაუგზავნა და ასეთი პასუხი მივიღეთ:

წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. შემოწმების შედეგი განვიხილეთ ავტოსადგურის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე. მიმდინარე წლის 15 აპრილის № 35 ბრძანებით კონტროლიორებს ჯ. კილასონიას და გ. გრძელიძეს ავტობუსში უბილეთო მგზავრების შეშვების და მგზავრის მიმართ უხეშობისათვის გამოეცხადათ სასტიკი საყვედური, ექსპლოატაციის ინჟინერს ლ. ტალახაძეს მიეთითა.

ამასთანავე დიდუბის სამგზავრო ავტოსადგურის ხელმძღვანელობას დაეკალა, გაძლიერეს კონტროლი და აღმზრდელობითი მუშაობა ავტოსადგურის მუშა-მოსამსახურეთა შორის, გააუმჯობესოს მგზავრთა კულტურული მომსახურება.

ეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ ა. გოშაძემ.

✦ ✦

სამამულო ომის მონაწილემ ლ. ტეფნაძემ სოფელ ჭალოვანიდან რედაქციას წერილი მოსწერა, რომელიც რეაგირებისათვის ხაჩხერის რაისაბჭოს აღმასკომს გადაეგზავნა.

წერილში მოყვანილი ფაქტები კომისიამ, ადგილზე შეისწავლა და გარდა ერთისა, ყველა დადასტურდა.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად გაუმჯობესდა სატელევიზიო გადაცემები. ავტობუსი მოძრაობს გრაფიკით, „საქმთავარენერგოს“ ზესტაფონის საქსელო გაერთიანების წინაშე დავალებულ საკითხი ელექტროენერგიის გადაცემათა ქსელის კაპიტალური რემონტის შესახებ; წლეულს ხაჩხერის საგზაო უბანი შეაკეთებს სოფელში შესასვლელ მოასფალტებულ გზას, აშენდა 50-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური, გაფართოვდება აგრეთვე სოფლის რადიოქსელი. წერილში მოყვანილი ფაქტი, რომ სოფელი განიცდის მგრავლის და მომავალ სასწავლო წელს პირველ კლასში მხოლოდ ორი მოსწავლე იქნება, მართალი არ არის. წლეულს, სექტემბერში, პირველ კლასში მერხებს 20 მოსწავლე მიუჯდება, — აცნობა რედაქციას ხაჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ჯ. მაჩაიძემ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲡᲘᲐᲮᲚᲔ, ᲞᲠᲝᲒᲚᲔᲛᲔᲑᲘ

თუ ხელკეთილად ირჯებიან...

დიდ მიზანს დიდი ენერგია სჭირდება. სწორედ მთელი ძალებისა და ენერგიის მობილიზებაა საჭირო დღეს იმ მთავარი ამოცანების გადასაწყვეტად. ჩვენი პარტიის XXVI ყრილობამ რომ დასახა. აი ისინიც: კიდევ უფრო გაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა იმის საფუძველზე, რომ შეუნელებლად განვითარდეს სახალხო მეურნეობა, დაჩქარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რაციონალურად იქნეს გამოყენებული ქვეყნის საწარმოო პოტენციალი, დაიზოგოს ყველა სახეობის რესურსი და გაუმჯობესდეს მუშაობის ხარისხი.

ეს ისეთი ერთობ მნიშვნელოვანი და უურადსაღები საკითხებია, რომელთა წარმატებით გადაჭრისათვის სწრაფვა მუდამდღე უნდა იყოს ყოველი პარტიული მუშაკისა და თუ რიგითი მშრომელის უმთავრესი საზრუნავი, მაგრამ ახლა, როდესაც ჯერ კიდევ არ განლეწულა საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის სახელოვანი მე-60 წლისთავის საიუბილეო დღეებში მიღებული უდიდესი შთაბეჭდილებანი, ამ მხრივ თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობას განსაკუთრებით ზრდის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ თბილისში გამართულ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვები: „ამა, რა გისურვოთ სამერმისოდ? იმოქმედეთ უფრო თამამად, იმუშავეთ კიდევ უფრო შეუპოვრად, კვლავაც ამაღლეთ საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი“.

ახლა, როცა ყოველ პარტიულ კომიტეტს, ყოველ პარტიულ ორგანიზაციას აქვს კონკრეტული სამოქმედო პროგრამა, შეიძლება ვილაპარაკოთ არა მარტო იმ გეგმებზე, რომლებიც მეთერთმეტე ხუთწლედშია გათვალისწინებული, არამედ იმაზეც, თუ როგორია მათ მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შემდეგ. სწორედ ამ მიზნით ვეწვიეთ პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტს.

როგორც ცნობილია, მეათე ხუთწლედში აჭარამ ოთხჯერ დაიმსახურა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო ერთხელ — რესპუბლიკური. საერთო წარმატებებში დიდია ბათუმის მშრომელთა წვლილი, რომლებმაც მეათე ხუთწლედში ოთხჯერ მოიპოვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წმთელი დროშა. ქალაქის მრეწველობამ ერთი ხუთწლედის მანძილზე ქვეყანას გეგმის გადამეტებით 40 მილიონი მანეთის პროდუქცია მისცა, 120 დასახელების ნაწარმს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიეკუთვნა, რაც საერთო პროდუქციის 30,6 პროცენტია. ეს ციფრები, თავისთავად, მრავლისმეტყველია.

მოგეხსენებათ, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიმდინარეობის დღეებში შესანიშნავი სიახლე იშვა — შეიქმნა საპრობლემო ჯგუფები, რომელთა აქტიურობამ დიდად შეუწყო ხელი საერთოდ ყრილობის წარმატებულ მუშაობას. ასეთი ჯგუფები, რომლებიც ადგილებზე ყრილობის შემდეგ შეიქმნა, პარტიული კომიტეტების შემდგომი მოღვაწეობის სული და გული უნდა გახდნენ, რამდენადაც ისინი მოიცავენ თითქმის ყველა დარგს, ყველა უბანს.

დღეს ბათუმის საქალაქო კომიტეტთან 17 საკოორდინაციო საბჭო, ჯგუფი და კომისიაა შექმნილი. აი ზოგიერთი მათგანი: წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სასურსათო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების, სათბობ-ენერგეტიკული საშუალებების გამოყენების, დაგეგმვის გაუმჯობესებისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, საქალაქო და კომუნალური მეურნეობის მართვის და სხვა. ჯგუფებსა და კომისიებს

ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

პროგრამა წარმატებით შესრულდა

კოსმონავტები ვლადიმერ კოვალიონოკი და ვიქტორ სავინიხი დედამიწაზე დაბრუნდნენ

(დასასრული)

თავიანთი ფრენა ამხანაგებმა ვ. ვ. კოვალიონოკმა და ვ. პ. სავინიხმა დაიწყეს 1981 წლის 12 მარტს „სოიუზ ტ-4“ ხომალდით, ხოლო 13 მარტს „სალუტ-6“-„პროგრეს-12“ ორბიტული კომპლექსთან ხომალდის შეპირაპირების შემდეგ კოსმონავტები შეუდგნენ მუშაობას კომპლექსში.

75 დღის ფრენის მანძილზე კოსმონავტებმა გადმოცალეს „პროგრეს-12“ სატრანსპორტო ხომალდი, განახორციელეს სადგურში პროფილაქტიკურ ღონისძიებათა საჭირო კომპლექსი, რათა უზრუნველეყოთ მისი შემდგომი ექსპლოატაცია პილოტირებული რეჟიმით, მთლიანად შეასრულეს დასახული კვლევისა და ექსპერიმენტების პროგრამა.

ეკიპაჟის მუშაობის პროგრამაში დიდი ადგილი დაეთმო გეოფიზიკურ კვლევას, რომელიც წარმოებდა მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ინტერესებისათვის. ამ მიზნით კოსმონავტები რეგულარულად ეწეოდნენ დედამიწის ზედაპირისა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიის დაკვირვებას და ფოტოგრაფირებას. დანადგარებზე — „შენადნობზე“, „კრისტალზე“ და „იონდასალამზე“ — კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამის მიხედვით მოეწყო ექსპერიმენტი ორბიტული ფრენის პირობებში ახალთვისებებიანი ნახევარგამტარი მასალების ლითონის შენადნობებისა და ნაერთების მისაღებად, აგრეთვე მასა-თბოგაცვლის პროცესების კვლევა. ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟმა განახორციელა მრავალი სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევა და ექსპერიმენტები ადამიანის ორგანიზმსა და უმაღლეს მცენარეთა განვითარებაზე კოსმოსური ფრენის ფაქტორების გავლენის შესასწავლად.

სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის „ინტერკოსმოსის“ პროგრამის ფარგლებში კოსმონავტებთან ვლადიმერ კოვალიონოკთან და ვიქტორ სავინიხთან ერთად „სალუტ-6“-„სოიუზ“ ორბიტული კომპლექსის ბორტზე მუშაობდნენ საერთაშორისო ეკიპაჟები მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეთა მონაწილეობით.

„სალუტ-6“ სადგურში, რომელიც 1977 წლის 29 სექტემბერს გაიყვანეს ორბიტაზე, შესრულდა ხუთი ძირითადი ექსპედიციისა და თერთმეტი წვევის ექსპედიციის პროგრამები; პილოტირებული რეჟიმით სადგურის ფუნქციონირების დრომ შეადგინა 676 დღე. მასთან ერთობლივი ფრენის დროს წარმატებით მოეწყო სრულყოფილი „სოიუზ ტ“ სატრანსპორტო ხომალდის გამოცდა. მთლიანად გაამართლა დანიშნულება „პროგრეს“ სატვირთო ხომალდების გამოყენებით პილოტირებული კომპლექსების მომარაგების ეფექტიანმა სისტემამ. განხორციელებულმა სარემონტო-პროფილაქტიკურმა სამუშაოებმა შესაძლებელი გახადეს გადიდებულიყო სადგურის მთელი რიგი საბორტო სისტემებისა და მოწყობილობის რესურსი, მნიშვნელოვნად გაზრდილიყო მისი აქტიური ფუნქციონირების ვადა.

სამუშაოთა ხანგრძლივი პროგრამის შესრულებისას განხორციელდა 34 შეპირაპირება პილოტირებულ და ავტომატურ კოსმოსურ ხომალდებთან, ეკიპაჟების სამი გასვლა ღია კოსმოსში. სადგურის შექმნისას და ფრენის დროს მიღებულმა კონსტრუქტორულმა და ტექნოლოგიურმა გადაწყვეტებმა უზრუნველყვეს მისი საიმედო ექსპლოატაცია „სალუტ-6“-„სოიუზ“-„პროგრეს“ ორბიტული კომპლექსის შემადგენლობაში სამი წლისა და რვა თვის მანძილზე.

კოსმონავტთა ეკიპაჟებმა მიიღეს დიდი მოცულობის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ფართო გამოყენებას პოვებს მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში.

1978 წლის მარტ-1981 წლის მაისის პერიოდში საბჭოური „სოიუზ“ კოსმოსური ხომალდებითა და „სალუტ-6“ სამეცნიერო სადგურით განხორციელდა ცხრა საერთაშორისო ეკიპაჟის ფრენა. საბჭოთა კოსმონავტებთან ერთად დედამინისირგვლივ ორბიტაზე მუშაობდნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის, კუბის რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქენი. საბჭოთა კავშირის და ეროვნული მეცნიერებათა აკადემიების მეცნიერთა მიერ ერთობლივად შემუშავებული მეცნიერული კვლევის შესრულებისას გამოყენებულ იქნა „ინტერკოსმოსის“ პროგრამის მონაწილე ქვეყნებში დამზადებული აპარატურა. „სალუტ-6“ სადგურში სოციალ

დამსახურებული აღიარება

რუსთაველის პრემიის

ახალი laureatebi

...ესაში უკვე გამოქვეყნდა ...ველის პრემიის ახალი ლა...ების სახელები. წლეულს ...ატიო ჯილდოს მინიჭება ...ხვა განსაკუთრებით საზეი...ლებს —საბჭოთა საქართველო...და მისი კომპარტიის მე...ლისთვის დღესასწაულობას. ...ნი რესპუბლიკის მშრომე...ულდიესი აღფრთოვანებით ...ნენ სიტყვას, რომელიც სკკპ ...ალური კომიტეტის გენე...ერმა მდივანმა, სსრ კავში...უმაღლესი საბჭოს პრეზიდი...თავმჯდომარემ ამხანაგმა ... ბრეჟნევმა წარმოთქვა სა...ელოს კომპარტიის ცენტრა...ს კომიტეტისა და რესპუბ...ს უმაღლესი საბჭოს საზეი...ბდომაზე 1981 წლის 22 მა...თბილისში. ამხანაგმა ლ. ი. ...ნევმა მაღალი შეფასება მის...საბჭოთა საქართველოს ხე...ებისა და ლიტერატურის ...ნეთა ქმნილებებს, რომლე...გაამდიდრეს მრავალეროვ...საბჭოთა კულტურა. ეს მა...შეფასება ახალი შემოქმე...თი გმირობისათვის უხმობს ...ეულ ჩვენგანს.

...რაოდენ მნიშვნელოვანია ...ი, რომელიც საქართვე...ხელოვნებისა და ლიტერა...ს მოღვაწეებს შეაქვთ საე...სახალხო მიღწევებში, ამას ...ად მოწმობს რუსთაველის ...ობის სახელმწიფო პრემიე...წლევანდელ ლაურეატთა ნა...ყარი.

...ტერატურის დარგში რუსთა...ს სახელობის სახელმწიფო ...ები მიენიჭათ პოეტ იოსეს ...შვილს (სიკვდილის შემდეგ), ...ა და მთარგმნელს მუშნი ...რიას, პროზაიკოს გურამ ფა...ძეს.

...ებ ნონეშვილის შემოქმე...ს კარგად იცნობს მკითხვე...რუსთაველის სახელმწიფო ...ა მას მიენიჭა გზათ „ლი...ტურულ საქართველო შ ი“ ...1980 წლებში გამოქვეყნე...ლექსებისათვის. ლექსების ...ეული, ისევე როგორც მთლი...მისი პოეტური მემკვიდრე...გამოირჩევა მოქალაქეობრი...ოზიციისა და მაღალმხატვრ...ოსტატობის იმ ორგანული ...ით, რომელმაც იოსეს ნო...ნეშვილის პოეზიას საყოველთაო აღიარება მოუტანა.

პოეტი აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დასანანია, რომ მუდამ შემართული, ენერგიით აღსავსე შემოქმედი დღეს აღარ არის ჩვენს შორის და ვერ ინაწილებს საბჭოთა საქართველოს დიდი დღესასწაულით გამოწვეულ სიხარულს.

ცნობილმა აფხაზმა პოეტმა და მთარგმნელმა მუშნი ლასურაიამ შობილიურ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ეს თარგმანი, სპეციალისტთა საერთო აღიარებით, ყურადღებას იქცევს მაღალი მხატვრული დონით, გამოირჩევა ორიგინალთან მაქსიმალური მიახლოებით. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მუშნი ლასურაია რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია. მან აფხაზურ ენაზე თარგმნა ბაირონის, პუშკინის, ლერმონტოვის არაერთი ქმნილება.

მუშნი ლასურაიამ მართლაც დიდი შრომა გასწია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზურ ენაზე ასაღერებლად და ღირსეულად დაიმსახურა პოემის ავტორის სახელობის პრემია. ეს ღირსშესანიშნავი ლიტერატურული მოვლენა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მომძე აფხაზი და ქართველი ხალხების ისტორიულ მეგობრობასა და ურთიერთგაგებას.

მწერალ გურამ ფანჯიკიძის რომანმა „იქტიური მზის წელიწადმა“ კრიტიკოსთა და მკითხველთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ორჯერ გამოიცა 50-ათასიანი ტირაჟით, იგი უმალ გაქრა წიგნის მაღაზიების თაროებიდან. ეს ფაქტი მჭევრმეტყველურად მიგვანიშნებს სახალხოველის დამოკიდებულებას გ. ფანჯიკიძის შემოქმედების მიმართ. „აქტიური მზის წელიწადი“ უმაღლეს ითარგმნა რუსულ ენაზე და ცალკე წიგნად გამოსცა საკავშირო გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა“. წიგნით დაინტერესდნენ და მის გამოცემას აპირებენ მომძე საბჭოთა რესპუბლიკების, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის გამომცემლობები.

გურამ ფანჯიკიძე, ყოველთვის აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციაზე დგას. ახალ რომანში მან შექმნა ცენტრალური პერსონაჟის, ფიზიკოს ნოდარ გელოვანის სახელი, შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე სახე.

გურამ ფანჯიკიძე არწილატობს თანამედროვე თემატიკას. რომანებით „მეშვიდე ცა“ და განსაკუთრებით „თვალი პატიოსანი“ მან რესპუბლიკაში გავრცელებულ ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლისათვის მოუწოდა მკითხველს.

რომანი „აქტიური მზის წელიწადი“ ტექნიკის საუკუნისათვის დამახასიათებელ ზნეობრივ და მეცნიერულ პრობლემათა, ადამიანურ ვნებათა სიმწვავით საინტერესო მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში.

მუსიკის დარგში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტს კომპოზიტორ სულხან ცინცაძეს მეცხრე სიმებიანი კვარტეტისა და 12 საკვარტეტო მინიატურის შექმნისათვის. კომპოზიტორის ყოველი საკვარტეტო ქმნილება გამოირჩევა საინტერესო შემოქმედებითი იერით და ორიგინალობით. მეცხრე კვარტეტი და 12 საკვარტეტო მინიატურა ყურადღებას იპყრობს ეროვნული კილო-ინტონაციების განზოგადების თანამედროვე ხერხებით, რომელიც ეყრდნობა საკომპოზიტორო ტექნიკის უახლეს მონაპოვრთა შემოქმედებითი ათვისების პრინციპებს. კომპოზიტორმა მიაღწია ხალხური მასალის ჭეშმარიტად სიმფონიურ გაანზრებას და განვითარებას, შექმნა კამერული მუსიკის შესანიშნავი ნიმუშები, რომლებსაც გამოარჩევს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მანერა.

სულხან ცინცაძის ეს ნაწარმოები დიდი წარმატებით შესრულდა თბილისში, საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში და საზღვარგარეთ და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

სახვითი ხელოვნების დარგში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი გრიგოლ (გივა) თოიძე. ეს მაღალი წოდება მას მიენიჭა პანოსათვის „დღესასწაული ხევსურეთში“, რომელიც ბიჭვინთის სსრ კავშირის მწერალთა კავშირის დ. გულიას სახელობის მწერალთა შემოქმედებითი სახლის საკონფერენციო დარბაზის კედელს ამშვენებს.

თოთხმეტი მეტრი სიგრძისა და ცხრა მეტრი სიმაღლის პანო, რომელიც სამი წლის მუშაობის შედეგია, წარუშლელ მთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. ხევსურეთის მთების, შატილის ზვიადი ციხე-კოშკების ფონზე გაშლილი საშემოდგომო დღესასწაული ზღაპრული სამყარო თითქოს კონტრასტულია ბიჭვინთის მოლივლივე ზღვასთან, შემოქმედებითი სახლის თანამედროვე არქიტექტურასთან, მაგრამ სწორედ ეს კონტრასტულობა ქმნის კოლორიტს, ახდენს განუმეორებელ შთაბეჭდილებას.

პანო, რომელზეც ერთმანეთს ერწყმის წარსული და თანამედროვობა, რამდენიმე ეპიზოდისაგან შედგება. ისინი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა სცენას ასახავს. პეიზაჟის სილამაზე მხატვარს ფონისთვის კი არ სჭირდება, არამედ ხალხის სულიერი სამყაროს გადმოსაცემად, რასაც ხელს უწყობს ფერთა საოცხოოდ შერჩეული პალიტრაც. ამ ნამუშევარს სპეციალისტთა საერთო აღიარება ხვდა წილად.

კინოსა და ტელევიზიის დარგში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა რეჟისორმა და სცენარის ავტორმა რევაზ თაბუკაშვილმა დოკუმენტური კინოდილოგიისათვის „ქართველები იტალიაში“ („კვალი ნათელი“ და „ალპური ვარსკვლავი“).

არ შეიძლება ადამიანი, რომელსაც ერის წარსული, თანამედროვეობა და მომავალი აღელვებს, აღტაცებული არ დარჩეს ამ კინოდილოგიის ნახვით, აღფრთოვანება არ გამოხატოს ნიჭიერი შემოქმედის, მკვლევარისა და ორგანიზატორის რუდუნებით გაწეული შრომით.

კინოდილოგია „ქართველები იტალიაში“ ამზეურებს უცნობ ფაქტებს, გვაწვდის მდიდარ სანახაობრივ და შემეცნებითს მასალას. იგი არის მაღალმხატვრულ დონეზე გადაწყვეტილი მეცნიერული კვლევის შესანიშნავი ნიმუში. მიხეილ თამარაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ფორე მოსულიშვილის, იტალიაში დაღუპული ბევრი ქართველი მეომრის გმირული თავგანწირვა ინტერნაციონალური ჰუმანიზმის შესანიშნავ მაგალითებს იძლევა.

კინოდილოგია „ქართველები იტალიაში“ მაღალიდეური და მაღალმხატვრული, პატრიოტული და მოქალაქეობრივი სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოებია, რომელსაც დიდი აღმზრდელობითი და შემეცნებითი ღირებულება აქვს. რევაზ თაბუკაშვილისათვის რუსთაველის სახელობის პრემიის მინიჭება იმ ღვაწლის საყოველთაო აღიარებაა, რომელიც მას მიუძღვის სამშობლოს წინაშე, როგორც შემოქმედს, მკვლევარსა და მამულიშვილს.

თეატრალური ხელოვნების დარგში პრემია დაიმსახურეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში უ. შექსპირის „პიესის „რიჩარდ მესამის“ დამდგმელმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა რობერტ სტურუამ, მუსიკალური გაფორმების ავტორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა კომპოზიტორმა გია ყანჩელმა, მხატვრული გაფორმების ავტორმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა მირიან შველიძემ და მთავარი როლის შემსრულებელმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა რამაზ ჩხიკვაძემ.

ამ სპექტაკლს უდიდესი წარმატება ხვდა. ხანმოკლე დროის განმავლობაში სპექტაკლმა დაიპყრო ათასობით საბჭოთა და უცხოელ თეატრის მოყვარულთა გულები. ესკილესა და სოფოკლეს სამშობლოს — საბერძნეთისა და თვით შექსპირის სამშობლოს — ინგლისის მრავალრიცხოვანი მაყურებლები, თეატრმცოდნეები აღფრთოვანებით შეხვდნენ ქართული თეატრის გასტროლების დროს ნაჩვენებ „რიჩარდ მესამეს“.

სპექტაკლის ესოდენ დიდი წარმატება განაპირობა რობერტ სტურუას მიერ პიესის თანამედროვე და ორიგინალურმა, ღრმა ფილოსოფიურ-სოციალურმა გააზრებამ.

კომპოზიტორ გია ყანჩელის მუსიკა და მხატვარ მირიან შველიძის დეკორაციები შესანიშნავად შეერწყა შექსპირის უკვდავი პიესის ურთულესი დრამატურგიის უკიდურესად დაძაბულ ვნებათაღელვებს, სპექტაკლის თავისებურ და საინტერესო ინტერპრეტაციას.

მსახიობმა რამაზ ჩხიკვაძემ შექმნა „რიჩარდ მესამის“ დაუვიწყარი სახე. უსამართლობა იქნებოდა არ აღგვენიშნა მთელი დამდგმელი კოლექტივისა და აქტიორული ანსამბლის მაღალი საშემსრულებლო ხელოვნება. როგორც საკვშირო, ისე უცხოეთის პრესამ სპექტაკლი აღიარა მნიშვნელოვან მოვლენად თეატრალურ ხელოვნებაში.

ამ სპექტაკლით რუსთაველის თეატრმა საბჭოთა კულტურის მიღწევების პროპაგანდისათვის ბევრი რამ გააკეთა საზღვარგარეთ.

არქიტექტურის დარგში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა საქართველოს დამსახურებულ არქიტექტორს შოთა ყავლაშვილს ქ. თბილისში ბარათაშვილის ქუჩის ისტორიული განაშენიანების რეკონსტრუქცია-რეგენერაციისა და კოლმეურნეობის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელის არქიტექტურისათვის.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის განვითარებაში, ჩვენი დედაქალაქის მხატვრული იერსახის ჩამოყალიბებასა და შემდგომ გაუმჯობესებაში. ამ სამუშაოების მიმართ შეუნელებელ ზრუნვას იჩენდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და თბილისის საქალაქო კომიტეტი, ქალაქის საბჭოს ხელმძღვანელები. ჩვენ თვალწინ აღდგა ძველი თბილისის ზღუდე-გალავანი კოშკებითა და ბურჯებით, აივნიანი სახლებით, კომლმურნეობის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელებსაც კი ისტორიული ფუნქცია დაეკისრათ. აქ განლაგებული ქალაქის ისტორიის ამსახველი ფოტოსტენდები მნახველს ძველ განაშენიანებას აცნობენ და მის აღსანქმელად ამზადებენ.

ამ რეკონსტრუქციის ავტორისა და სამუშაოთა ორგანიზატორის არქიტექტორ შოთა ყავლაშვილს მიერ საისტორიო წყაროების, თბილისის ძველი გეგმა-რუკების შესწავლისა და ანალიზის შედეგად აღდგა თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბნის ისტორიული სახე, გასმეორებელი კოლორიტი. მართლაც რომ, თვალსაჩინოა შოთა ყავლაშვილის ღვაწლი თბილისის განაშენიანების საქმეში. მისი პროექტით აშენდა უამრავი საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობა, რომლებითაც სამართლიანად ამაყობენ თბილისელები: ლენინური კომკავშირის სახლობის წყალჯომარდობის კომპლექსი, ავტოსადგური, გვირაბი ესტაკადით მეტეხის ქვეშ, 16-სართულიანი სახლების კომპლექსი სანაპიროზე... საქართველოს სსრ პავლიონის გაფორმებისათვის მან დაიმსახურა ოქროს მედლები საერთაშორისო გამოფენებზე პარიზში, ბაზელში, კაიროსა და დასავლეთ ბერლინში. იგი საინტერესო თეატრალურ მხატვრად გვევლინება და ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა.

არქიტექტორ შოთა ყავლაშვილის პროექტები განხორციელებულმა ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქციამ შეიძინა ესთეტიკური და აღმზრდელობითი ფუნქცია.

საყმაწვილო ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა საქართველოს დამსახურებულ არქიტექტორს შოთა ყავლაშვილს ქ. თბილისში ბარათაშვილის ქუჩის ისტორიული განაშენიანების რეკონსტრუქცია-რეგენერაციისა და „ნაკარქიქია“, რომელიც 1979 წელს დაიდგა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

საბავშვო ოპერის შექმნა რთული შემოქმედებითი პროცესია, რომელსაც სპეციფიკური სიძნელეები აქვს. მით უფრო გასაზარაა, რომ კომპოზიტორმა 12 წლის წინათ წარმატებით დადგმული საბავშვო ოპერის „ქაჯანას“ შემდეგ შექმნა რიგით მეორე საბავშვო ოპერა „ნაკარქიქია“, რომელმაც მუსიკის სპეციალისტთა საერთო მოწონება დაიმსახურა. ამ ოპერის შესახებ მრავალი დადებითი აზრი გამოითქვა, და ბევრი რეცენზია გამოქვეყნდა.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების წლევანდელ ლაურეატთა ნაწარმოებები მოწმობს, რომ რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენცია ეძიებს ახალ-ახალ მწვერვალებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთვის საზეიმო დღეებში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მინიჭებამ, მართლაც რომ, სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა. იგი იქცა ფორმით ეროვნული და შინაარსით ინტერნაციონალური ქართული საბჭოთა კულტურის მიღწევათა კიდევ ერთ ნათელ დემონსტრაციად.

გრ. აბაშიძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

(საქინფორმი).

პოლიტიკური ცოდნის წყარო

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ მოყვარულთა საზოგადოების რვა ათასამდე პირველი ორგანიზაცია, რომლებიც ახლა საქართველოში მოქმედებს, ნახევარ მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს, აღინიშნა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, „პოლიტიკური წიგნი და სოციალისტური მშენებლობა საქართველოში“, რომელიც მოაწყო წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკურმა გამგეობამ. კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ თვალსაჩინო მეცნიერები, იდეოლოგიური მუშაკები, მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს.

კონფერენცია გახსნა რესპუბლიკის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის პროპაგანდის საბჭოს თავმჯდომარემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ლ. თოიძემ. კონფერენციაზე გამოსულებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა ვ. მერკვილაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა პ. გუგუშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, თუ რა უდიდეს როლს ასრულებს პოლიტიკური წიგნი რესპუბლიკის სოციალურ- ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კონფერენციის მოხაზილებმა განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ საჭიროა გაფართოვდეს პოლიტიკური წიგნის პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების არსენალი. რეგულარულად უნდა ეწყობოდეს ახალი წიგნების საზოგადებრივი განხილვა, კოლექტიური კითხვა, მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები ნაწარმოებთა ავტორებთან, ლექციები, დისპუტები, გამოფენები.

კონფერენციის შედეგები შეაჯამა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. კაკაბაძემ.

(საქინფორმი).

საქეცნიერო სესია

...ᲠᲘᲡ ნ. ბარათაშვილის სახე...ის პედაგოგიურ ინსტიტუტ...გაიმართა საქართველოში საბ...ს ხელისუფლების გამარჯვე...და რესპუბლიკის კომპარტი...შექმნის 60 წლის თავისადმი ...ბილი რესპუბლიკური სა...ერო სესია.

...სესიაზე, —უთხრა საქინფო...ს კორესპონდენტს რესპუბლი...მეცნიერებათა აკადემიის ...ბიდიუმთან არსებული საქარ...ლოს ისტორიის წყაროების ...წავლელი კომისიის თავმჯდ...ელმ, საქართველოს მეცნიერ...თა აკადემიის ენისა და ლი...ატურის განყოფილების აკა...კოს-მდივანმა შ. ძიძიგური— „შეკამდა ქართველ მეცნიერ...60 წლის მუშაობის შედეგე...სესიაზე წაკითხული მოხსე...ები ეყრდნობოდა ქართულ, ...ნულ, სომხურ, სპარსულ, ...ქულ, დასავლეთევრ ოპულ ...ოებს და ეძღვნებოდა თხრო...ი, ეპიგრაფიკული, საკანონ...ლო, ეპისტოლური ხასიათის ...ეტენტების კვლევის შედე...ბ. გამოსვლებში გაშუქდა აგ...ვე წყაროთმცოდნეობის გა...ლევათა მეთოდიკის, წერი...ითი წყაროების კლასიფიკა...ა, ქართული წყაროების რუ...ეზაზე თარგმნის, მათი პუ...აციის საკითხები. სესიაზე ...აკუთრებული ყურადღება და...ი ქალაქ გორისა და მისი ...ოგარენის ისტორიულ წყარო...გორის რაიონში დაცულია ...ალი ეპიგრაფიკული ძეგლი, ...ელთა შესასწავლად კომისი...ა-ოაწყო რამდენიმე ექსპედი...სესიის მონაწილენი გაეც...ამ ძეგლების შესწავლის შე...ებს.

...ეალსაჩინო მეცნიერებთან ერ...სესიაზე მოხსენებები გააკე...ახალგაზრდა მკვლევრებმა. ...ის მასალები გამოქვეყნდება ...ერთველოს ისტორიის წერილ...თი წყაროების კომისიის გა...ებმათა სერიით.

...ქართველოს ისტორიის წყა...მეცნიერებას მდიდარი ტრა...ციები აქვს. თავის დროზე მე...ერების ამ დარგის განვითა...ში დიდი წვლილი შეიტანეს ...ᲠᲘᲡ ბაგრატიონმა, მარი ...ᲡᲘᲡ, ნიკო მარმა, დიმიტრი ...ᲠᲘᲡ, ალექსანდრე ხახანაშვი...ᲡᲘᲡ, ალექსანდრე ცაგარელმა, ...Ს ეორდანიამ, მოსე ჯანაშვი...Ს ᲔᲕᲓᲘᲛᲘᲡ თაყაიშვილმა, ივა...Ს ჯავახიშვილმა და სხვა მეცნი...ᲔᲑᲘ. ჩვენს დროში საქართვე...Ს ისტორიის წერილობითი ...ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ შესწავლამ და გამო...ᲛᲐ ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚ გაქანებას მიაღ...

...ᲛᲝᲜᲘᲡᲘᲐᲛ ქუთაისსა და თელავ...ᲨᲘ გამართა საკავშირო და რეს...ᲠᲘᲙᲐᲜᲘ სამეცნიერო სესიე...ᲠᲝᲜᲚᲔᲑᲘᲡ მონაწილეობდ...ᲘᲡᲐ ᲪᲘᲜᲝᲑᲘᲡ საბჭოთა არქეო...ᲒᲔᲑᲘ, ისტორიკოსები, ენათმე...ᲔᲠᲔᲑᲘ.

● ●

დაჯილდოება

...ᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი ...ᲭᲝᲡ პრეზიდიუმის ბრძანებულ...ᲗᲘ შინაგან საქმეთა ორგან...ᲨᲘ ხანგრძლივი უმწიკვლო ...ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ და აქტიური საზო...ᲒᲐᲡᲐᲠᲘ მუშაობისათვის, და...ᲯᲘᲚᲓᲝᲓᲐᲗ წელთან და...ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲘᲗ. ბორის ნიკოლო...ᲫᲔ ᲙᲐᲚᲐᲜᲢᲐᲠᲝᲕᲘ დაჯილდოვ...ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი ...ᲭᲝᲡ პრეზიდიუმის სპპატიო სი...ᲚᲘᲗ.

უცხოეთის გამოხმაურება

მოწოდება სერიოზული დიალოგისათვის

საზღვარგარეთის პრესა, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი კვლავ განმარტავენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას თბილისში გამართულ საქართველოს სს რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 60 წლის თავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მის მოწოდებას გაიმართოს სერიოზული პოლიტიკური დიალოგი, მოლაპარაკება ყველაზე მწვავე და აქტუალური საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების მიზნით, პლანეტის „ცხელი წერტილების“ ლიკვიდაციის მიზნით.

ᲛᲘᲜᲘᲡᲐ და მშვიდობის ძირითადი პრობლემებისადმი მიძღვნილი პოლიტიკური დიალოგის გამართვის მოწოდებად მიიჩნევს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას ბულგარეთის **„ოტეჩესტვენ ფრონტი“**. ამ სიტყვამ, წერს გაზეთი სარედაქციო კომენტარში, კიდევ ერთხელ დაადასტურა რომ პრინციპული და რეალისტურია საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის კურსი, რომ იგი მზად არის აქტიურად დაიცვას მშვიდობა და შეინარჩუნოს დაძაბულობის შენელება. საბჭოთა ხელმძღვანელმა ალავ აღნიშნა, რომ საჭიროა გადაიჭრას არსებული პრობლემები და შენელდეს დაძაბულობა მსოფლიოში დიალოგისა და პატიოსნენ, კონსტრუქციული მოლაპარაკების გზით.

დიდი გამოხმაურება გამოიწვია ლ. ი. ბრეჟნევის გამონათქვამებმა, რომლებიც ახლო და შუა აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების პოლიტიკური მოწესრიგების გზებს ეხება.

თვალსაჩინო ლიბანელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ამ ქვეყნის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა **რ. კარამემ** განაცხადა, რომ ლ. ი. ბრეჟნევის გამონათქვამი ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების თაობაზე „მოწმობს იმ მნიშვნელობას, რომელსაც იგი ანიჭებს ჩვენს კანონიერ უფლებებს, და ცხადყოფს, რომ სსრ კავშირი მზად არის გაგვიწიოს დახმარება“. რამდენადაც საბჭოთა კავშირი ვერ დახუჭავს თვალს საშიშ ვითარებაზე ამ რეგიონში, სადაც შეიძლება ომის ხანძარი გაჩაღდეს, საბჭოთა ხელმძღვანელის წინადადებაა მოეწყოს საერთაშორისო კონფერენცია, რათა ყველა მხარემ შეიმუშაოს სამართლიანი გადაწყვეტილება. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გაოცება გამოთქვა იმ ნეგატიური რეაქციის გამო, რომელიც ვაშინგტონმა გამოიჩინა ამ წინადადების მიმართ. ამერიკის შეერთებული შტატების ცდები, ერთპიროვნულად მოაწესრიგოს ახლო აღმოსავლეთის პრობლემა, აღნიშნა მან, ვერ გამოიღებს დადებითს ნაყოფს, პირიქით, რეგიონში აფეთქების საფრთხეს ქმნის. რ. კარამემ თქვა, რომ არაბული ქვეყნების ლიგის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ტუნისში გამართულ საგანგებო კონფერენციაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა თვალნათლივ დაადასტურა, რომ არაბთა სოლიდარობა უძლიერესი იარაღია არაბთა უფლებებისა და ინტერესებისათვის ბრძოლაში.

ლ. ი. ბრეჟნევის წინადადება ახლო აღმოსავლეთისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის თაობაზე დიდმნიშვნელოვანი საბჭოთა ინიციატივაა, რომელიც წამოყენებულია ძალზე პასუხსაგებ მომენტში და ეხება ყველა არაბი ხალხის ბედიღბალს, წერს მოწინავე სტატიაში იორდანიის გაზეთი **„არ-რაი“**. საბჭოთა ხელმძღვანელი თავის სიტყვაში სერიოზულად აფრთხილებს ისრაელს, რომელიც ემზადება ლიბანში ვითარების გამწვავება გამოიყენოს ამ ქვეყნის წინააღმდეგ ახალი ფართო მასშტაბის აგრესიისათვის. გაზეთი მოუწოდებს არაბულ ქვეყნებს მტკიცედ დაუჭიროონ მხარი საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს, რომელთა მიზანია ახალი სამხედრო კონფლიქტის თავიდან აცილება და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის უშიშროების უზრუნველყოფა.

ლ. ი. ბრეჟნევმა, აღნიშნავს თავის კომენტარში **ზამბიის საინფორმაციო საგენტო,** თქვა, რომ შეუძლებელია გულგრილი დარჩე მილიონობით პალესტინელის ტანჯვა-წამებისა და ლიბანის ბედიღბლის მიმართ, რომელსაც, რომ იტყვიან, სისხლს სწოვს ისრაელის მხედრიონი. ზამბია სავსებით ეთანხმება ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების ასეთ შეფასებას, აღნიშნავს საგენტო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის სიტყვა, წერს უნგრეთის **„მადარ ხირლაპა“**, მოწმობს, რომ სსრ კავშირი მუდამ მზად არის მოლაპარაკებისათვის. დრომ ცხადყო, რომ სკკპ XXVI ყრილობაზე წამოყენებულ სამშვიდობო ინიციატივებს სულაც არ დაუკარგავს თავიანთი ფიდი მნიშვნელობა, პირიქით, მათი აქტუალობა მატულობს. მსოფლიო ვითარების ჩამოყალიბების სამეში უაღრესად დიდი როლი განეკუთვნება ევროპას, ამიტომ ლ. ი. ბრეჟნევმა თბილისში წარმოთქმულ სიტყვაში დიდი ყურადღება დაუთმო ვითარებას ევროპის კონტინენტზე. ამასთან საბჭოთა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი უპასუხოდ არ დატოვებს ევროპის მიწა-წყალზე ამერიკის ახალი რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგებას, რომელსაც სსრ კავშირსა და მის მოკავშირეებს უმიზნებენ. ამ შემთხვევაში იგი იძულებული იქნება იფიქროს დამატებითს თავდაცვითს ღონისძიებებზე.

სსრ კავშირის წინადადება ევროპაში რაკეტულ-ბირთვული შეიარაღების შეზღუდვა-შემცირების შესახებ მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყების თაობაზე, აღნიშნავს საფრანგეთის **„ლუმანიტე“**, ხელს შეუწყობს დასავლეთ ევროპის საზოგადოებრიობის ბრძოლას ამერიკის ბირთვული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირთან სასწრაფო მოლაპარაკებისათვის. სკკპ XXVI ყრილობის მოწვევიდან გასული სამი თვის შემდეგ 80-იან წლებში მშვიდობის განმტკიცების საბჭოთა პროგრამა კვლავინდებურად აქტუალურია.

ახალი რგოლი შეთქმულებათა ჯაჭვში

ᲙᲐᲘᲠᲝ. ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲡ **პრეზიდენტი სადათი სუდანის პრეზიდენტის ნიმეირის მიწვევით ვიზიტად ჩავიდა ხართუმში. ხართუმში ყოფნის დროს მას მოლაპარაკება ჰქონდა პრეზიდენტ ნიმეირისთან ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაძლიერების საკითხებზე. ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲡ გაზეთი „მაიუ“ აღნიშნავს, რომ ხართუმში მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო სუდანსა და ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲡ შორის ხაზგზერო თანამშრომლობის განმტკიცება.**

ვიზიტის დამთავრების შემდეგ პრეზიდენტი სადათი კაიროში დაბრუნდა.

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝ. სუდანის ხელმძღვანელობის მიერ სადათის მოწვევა ხართუმში ეწინააღმდეგება არაბული ქვეყნების ლიგის გადაწყვეტილებებს სადათის რეჟიმისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ და არაბი ერის უმაღლეს ინტერესებს, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ სირიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

სირიის მთავრობამ, ნათქვამია მასში, რომელიც გბრძს სუდანისა და ᲔᲒᲘᲞᲢᲘᲡ პოლიტიკურ დაახლოებას, მიიღო გადაწყვეტილება არ გაგზავნოს თავისი ელჩი ხართუმში, აგრეთვე არაბული ქვეყნების ლიგის გენერალურ მდივანს მოსთხოვოს არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში შეიტანოს ᲔᲒᲘᲞᲢᲘᲡ რეჟიმთან სუდანის ურთიერთობის საკითხი და სათანადო ზომები მიიღოს სუდანის მთავრობის წინააღმდეგ.

ᲢᲠᲘᲞᲝᲚᲘ. ლიბანის რევოლუციის ლიდერმა მ. ადადფიმ და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ ი. არაფატმა არაბულ ქვეყნებს მოუწოდეს „გაფსკიტონ დიპლომატიური კავშირი სუდანის რეჟიმთან და მის მიმართ გამოიყენონ სანქციები იმავე მოკეულობით, რა მოცულობითაც ᲔᲒᲘᲞᲢᲘᲡ წინააღმდეგ იყენებენ“.

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. **ხართუმში სადათის ვიზიტი ახალი რგოლია არ

დაგვიანებული „სიგყვა“

გოლო ხანს მკითხველი დიდი დაგვიანებით იღებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „პარტიულ სიტყვას“. ჯერ იყო და საახალწლო ნომერი ხელმომწერებს შუა თებერვალში მიუვიდათ: უხერხულია თებერვალში ახალი წლის მილოცვა! ისიც უხერხულია, რომ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა უკვე კარგა ხანია დამთავრდა, ჟურნალი კი მკითხველს მის სამზადისად განაწყობს. მთლად კურიოზულია 1980 წლის ნოემბრის ნომერში დაწყებული ალექსანდრია-ლიტინსკაიას პარტიის ოთხი თვის შემდეგ დამთავრება—ამ დროისთვის ხომ ალექსანდრიამ არა მარტო ლიტინსკაია დაამარცხა, არამედ შემდგომი ციკლიც გაიარა და ჟურნალის გამოსვლისთვის უკვე პრეტენდენტიც გახდა.

ახლა აპრილის ნომერმაც (8) საკმაოდ დაიგვიანა. მკითხველს სულაც არ აწუხებს, ვისი მოუკნელი მუშაობის გამო იგვიანებს ჟურნალი — რედაქციის თუ კავშირგაბმულობის საგაზეთო ექსპედიციისა. ზემოთ მოხსენიებულ შემთხვევებში ბრალი უფრო რედაქციას მიუძღოდა. პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს სჭირდებათ საცნობარო და მეთოდიკური დანიშნულების მასალები, რომლებიც ფაქტს და მოვლენას ეხმაურება. ამგვარი მასალების სიმწირე ისედაც შეინიშნება და, თუ ოპერატიულმა ჟურნალმა ოპერატიულობაც დაკარგა, საქმის ზიანი მიადგება.

ბავშვობის წლებიც ვიილია

ეს დღე კალენდარზე არ აღინიშნება. ალბათ იმიტომ, რომ მას აურზაური არ უხდება. ის უფრო მოკრძალებული, სიმშვიდით გალამაზებული უნდა იყოს. „ულანსკნელ ზარს“ უწოდებენ მას. ეს ზარი უკვე დაირეკა რესპუბლიკის სკოლებში, იქ, არხოტსა და ქედაში, მოლახსა და დურიოთში, ჭიათურასა და თელავში, ლანჩხუთსა და ცხინვალში.

მაინც, ახალგაზრდამთავრებულებმა უნდა შეიკრებოდნენ დაზგებთან გაჭაღარავებული ადამიანები, მთაში მიტოვებული კერია ხელახლა გაათბონ; შორეულ გზებზე წვიმდნენ, ცხოვრების მაჯისცემა უკეთ რომ იგრძნონ.

მაისის თვეში ინათლებიან ისინი ახალგაზრდებად: გუშინდელი მოსწავლეები მერხებს რომ უსხდნენ და გაფაციცებით შეჰყურებდნენ პედაგოგებს.

თბილისის ქუჩები გაალამაზა მათმა ხალვამ. საზეიმოდ გამოწყობილნი, ჭრელად მოხატული წინსაფრებითა და პერანგებით, თითქოს უკვე დავიქაციებულიყვნენ, დაქალებულიყვნენ.

ბავშვობის ის ათი წელი უკვე წარსულს ბარდება. გუშინ დაშვებულ შეცდომას დღეს ანკობად აღარ ჩაუთვლიან სწორედ ამიტომაც თითოეული უკვე გონებით განსაზღვრავს მომავალი ცხოვრების გზას, საღი თვალით შეხედავს ცხოვრების ყოველ წვრილმანს.

რამდენიმე დღეში უნდა წარდგნენ ისინი პედაგოგების, აღმზრდელების წინაშე, რომ უჩვენონ, რის გაკეთება შეძლეს ათი წლის მანძილზე. და ეს იქნება ერთგვარად მოსამზადებელი ეტაპი შემდგომში სწორი ნაბიჯის გადასადგმელად.

ვინ უნდა გახდეს ღირსი, იყოს ამბიტურიენტი, ვინ გახდეს სტუდენტი;

ვინ ვიგულოთ კარგ შეგირდად ქარხნებში;

ვის დავიგულოთ მარჯვენა მშენებლობებზე;

ვის მივანდოთ ალამი და ფუნჯი;

ვინ ვიერთგულოთ ჩაის პლანტაციებში, ყანებსა და ზვრებში;

ვინ საით წავა, ვის საით გაუწვეს გული? — ბავშვობასთან განშორების ნაღვლი თან სდევს ამ კითხვებს და ეჭქნელდებათ ახალგაზრდების სიტყვის თქმა.

თბილისის ქუჩები გვიანობამდე ხარობდა მათით. მართლაც მშვენიერი თბილისური საღამო იდგა, ათას ნაფიქრზე, ნაოცნებარზე საუბრობდნენ ისინი.

პედაგოგებთან ერთად გამოსულიყვნენ 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები. მომავალი 152 კურსდამთავრებული — ახალგაზრდა; ვინ იცის, მომავალში უკვე პოეტი ირმა ჯანგირაშვილი, კომპოზიტორი ირაკლი ვაჩნაძე, მომავალი მედიკოსები ნათია არაბული, სანდრო ციხარეძე, მაია აბდუშელიშვილი, მომავალი თეიზიკოსები, მხატვრები, სპორტსმენები,

— ეს წელი განსხვავებულად სამახსოვროოა, — თქვეს მათ. — ჩვენი რესპუბლიკის სამოცი წლის იუბილე ვიზეიმეთ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მოგვილოცა დღესასწაული. გვესტუმრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. ასე რომ, ეს წელი ორმხრივ ძვირფასი გახდა ჩვენთვის.

მაისის თვეს უხდება ამგვარი საღამო...

მ. კიკნაველიძე.

28 მაისი მესაზღვრის დღეა

საბჭოეთის მამაცი გუშაგები

ფლეგანდელ დღესასწაულს ამერიკავკასიელი მესაზღვრეები ეგებებიან დიდი პოლიტიკური და პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოიწვია სკკპ ისტორიული XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებმა, აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის ზეიმმა, ამ ზეიმში ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მონაწილეობამ.

ნათქვამია, საზღვრის მეომრები განსაკუთრებით ფხიზელი და მამაცი ხალხიაო, და ეს სავსებით სწორია. სასაზღვრო ჯარები, რომლებიც საბჭოთა შეიარაღებული ძალების ნაწილს შეადგენენ, სპეციალურ ამოცანებს ასრულებენ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სისტემაში. მათ საყოველთაო-სახალხო სიყვარული და პატივცემა მოიპოვეს თავიანთი რევოლუციური სიფხიზლით, მამაცობითა და გამბედაობით. ჯარებმა გმირული გზა განვლეს, ბევრი მკაფიო ფურცელი ჩაწერეს საბჭოთა ქვეყნის, მისი საზღვრების დაცვის მატიანეში.

ვ. ი. ლენინმა, კომუნისტურმა პარტიამ, რომლებსაც საბჭოთა სახელმწიფო საზღვრების შეიარაღებული დაცვა მუშათა და გლეხთა ქვეყნისათვის საარსებოდ დიდმნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნდათ, დასასაბუთეს საზღვრის დაცვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მნიშვნელობა, განსაზღვრეს სასაზღვრო ჯარების ამოცანები.

უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და საშინაო კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის, დიდი სამამულო ომის წლებში, ომისშემდგომ პერიოდში მესაზღვრეები მამაცურად იცავდნენ სახელმწიფო საზღვარს. ისინი დღესაც ფხიზლად დგანან თავიანთ უცვლელ ვახტზე სამშობლოს საზღვრის დასაცავად.

შექმნილი სამხედრო და პოლიტიკური ვითარების გამო სასაზღვრო ჯარების ორგანიზაცია ამერიკავკასიაში დაწყო ამ რაიონებში კონტრრევოლუციის განადგურებისა და საქართველოდან თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა განდევნის შემდეგ.

20-იან წლებში სამშობლოს სამხრეთის საზღვრების დაცვა რთულ ვითარებაში უხდებოდათ. სასაზღვრო ზოლი სავსე იყო გადარჩენილი კონტრრევოლუციური ბანდის ნაშთებით. ამერიკავკასიელმა მესაზღვრეებმა გაბედულად და მტკიცედ აღკვეთეს მტრების ხრიკები.

მიმდინარე წლის ივნისში ორმოცი წელი სრულდება დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან, როცა მესაზღვრე მეომრებმა, ოფიცრებიც პირველები ეკვეთნენ მოულოდნელად მომხვდურ მტერს, მკერდით გადაეფარნენ სამშობლოს. მათ მთელ მსოფლიოს უჩვენეს, რა შეუძლია საბჭოთა ადამიანს, როცა იგი სოციალისტურ სამშობლოს, კომუნისტურ იდეალებს იცავს. ყოველი საგუშაგო იქცა ციხესიმაგრედ, ყოველი მესაზღვრე — გმირად, რომელიც უბრძოლველად არც ერთ მტკაველ მიწას არ თმობდა.

ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ბათუმის სასაზღვრო რაზმის აღზრდილზე მიხეილ მირზაშვილზე. დიდმა სამამულო ომმა კაპიტან მირზაშვილს დასავლეთის საზღვარზე მოუსწრო. და აქ ქართველი ერის მამაცმა შვილმა არაერთგზის ისახელა თავი ვაჟკაცობითა და გამბედაობით, მამაცურად ებრძოდა ფაშისტებს. ქალაქ ლუბნისათვის გამართულ ბრძოლებში მესაზღვრეთა ბატალიონის მეთაურმა მ. მირზაშვილმა მებრძოლები იერიშზე გადაიყვანა და ქალაქში შეიჭრა. ამ ბრძოლაში მამაცთა სიკვდილით დაიღუპა კაპიტანი. მამაცობისა და გმირობისათვის მ. მირზაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოდა წითელი დროშის ორდენით.

ოლქის სასაზღვრო რაზმები, რომლებიც ასრულებდნენ სამხრეთის საზღვრის საიმედო დაცვის უზრუნველყოფის ძირითად ამოცანას, რეგულარულად გზავნიდნენ თავიანთ აღზრდილებს მოქმედი არმიის რიგებში. სწორედ მათგან ჩამოყალიბდა 26-ე მსროლელთა პოლკი, რომელმაც მრავალი სახელოვანი საბრძოლო ფურცელი ჩაწერა დიდი სამამულო ომის მატიანეში.

უკმენობი დიდება ხვდათ წილად ამ პოლკის მეომრებს — საბჭოთა კავშირის გმირს, უმცროს ლეიტენანტს პეტრე გუჟვინსა და სერჟანტს პეტრე ტარანს, რომლებიც სამოდამოდ არიან შეტანილი ჩვენი ოლქის ამ სასაზღვრო საგუშაგოთა სიებში, სადაც ისინი ფრონტზე წასვლამდე მსახურობდნენ. 26-ე სასაზღვრო პოლკი საბრძოლო ამოცანებს ასრულებდა მე-18 არმიის შემადგენლობაში, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამერიკავკასიისათვის ბრძოლაში გამარჯვების საქმეში. ამერიკავკასიისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მკაფიო ფურცელია მაგზელელ მეზღვაურთა გმირი დესანტი ცეზარ კუნიკოვის მეთაურობით, რომლებიც 1943 წლის 3 თებერვალს ღამით გადასხდნენ ლენინგრადურ მცირე მიწაზე ნოვოროსიისკთან. მედესანტეთა შორის მცირე მიწაზე ამერიკავკასიელი მესაზღვრეებიც იყვნენ. მცირე მიწის თავდაცვის სული და გული იყო მე-18 არმიის პოლიტმუშაკთა მამაცი კოლექტივი პოლკოვნიკ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. დღესაც განვლილი წლების გმირები უხილავად დგანან ახალგაზრდა მეომრებთან ერთიან მწყობრში, მათთან ერთად მიაბიჯებენ საგუშაგოს ბილიკებით, ამხნევებენ სახელოვან საბრძოლო ტრადიციათა მემკვიდრეებს თავიანთი მამაცობით.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნამ ძირფესვიანად შეცვალა მსოფლიო. მაგრამ არ შეცვლილა იმპერიალისტების აგრესიული არსი. სამხრეთის საზღვარზე კვლავ ცდილობენ ჯაშუშების, აგენტების, კონტრაბანდისტებისა და სხვა ძირგამომთხრელი ელემენტების შემოგზავნას.

ცხელ კვალზე... (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სპეციალური სამსახურების ხრიკებს ამერიკავკასიის მესაზღვრეებმა დაუპირისპირეს ნაცადი იარაღი — დიდი პოლიტიკური სიფხიზლე და სამსახურებრივი ოსტატობა. „ცივი ომის“ წლების მანძილზე მათ უამრავი სამშობლოს დამრღვევი გაუუნებელეს.

ამჟამად ამერიკავკასიის მესაზღვრეები დღენიადაგ სრულყოფენ თავიანთ სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნას, ზრდიან თავიანთ სიფხიზლესა და საბრძოლო მზადყოფნას.

ოლქის ჯარებში ფართოვდება შეჯიბრება დევიზით: „სიფხიზლისა და სასაზღვრო ოსტატობის შემდგომი ამაღლებისათვის, საუცხოო საბრძოლო მზადყოფნისა და მტკიცე მხედრული წესრიგისათვის!“

საბრძოლო მეტოქეობაში ყველა ნაწილი და ქვანაყოფი მონაწილეობს. როგორც ყოველთვის, ავანგარდში არიან კომუნისტები და კომკავშირელები, მათ შორის — ლ. რუსაკოვი, დ. ილიშეევი, სერჟანტები ნ. რაზგორნოიეევი, ა. დრობინსკი, რიგითები ვ. ბესარაბოვი, ს. დუბინინი...

ზედიზედ რამდენიმე წელია საასაზღვრო ჯარების სამხედრო საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას ინარჩუნებენ ჩვენი ოლქის ავიატორები. სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეზვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული შედეგებისათვის გამარჯვებულნი სასაზღვრო ჯარების სამხედრო საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოდნენ.

ჩვენი სასაზღვრო ოლქის მეომრებს მტკიცე მეგობრობა აქვთ საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებთან. „სსრ კავშირის საზღვარს მთელი საბჭოთა ხალხი იცავს“ — ამ დევიზს კონკრეტულად ესხმება ხორცი ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მშრომელთა, საქართველოს სსრ სასაზღვრო და ქალაქების კომუნისტთა, კომკავშირელთა და უპარტიოთა სახელოვანი საქმეებით საზღვრის მეომრებისათვის დახმარების გასაწევად.

სამშობლოს სამხრეთის საზღვრების დაცვის განმტკიცებისათვის დიდად ზრუნავენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საზღვრისპირა რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

ღირსეულად ხვდებიან თავიანთ დღესასწაულს საბჭოთა სახელმწიფო საზღვრების დამცველნი.

სამშობლოს, ლენინური პარტიის უსაზღვროდ ერთგული მესაზღვრეები ფხიზლად იცავენ სამშობლოს სამხრეთის საზღვრებს.

გენერალ-მაიორი

მ. ჩერედილოვი,

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი.

ზ. დ. ღამბაშიძე



ქართულმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ მძიმე დანაკლისი განიცადა — ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სკკპ წევრი 1946 წლიდან ზურაბ დიმიტრის ძე **ღამბაშიძე.**

ზ. დ. ღამბაშიძე დაიბადა 1917 წელს ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში. მან განვლო შრომითი საქმიანობის ნაირი გზა. 1941-1962 წლებში მუშაობდა „საქსახწყალპროექტში“ ინჟინრის, უფროსი ინჟინრის, პროექტის მთავარი ინჟინრის, ტექნიკური განყოფილების უფროსისა და ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე, სიცოცხლის ბოლო წლებში იყო მთავარი ინჟინერი.

ზ. დ. ღამბაშიძე უშუალოდ მონაწილეობდა რესპუბლიკის ისეთი უმნიშვნელოვანესი სამელიორაციო ობიექტების დაგეგმარებაში, როგორიც არის ზემო და ქვემო სამგორის, ზემო ალაზნისა და სხვა სარწყავი სისტემები.

ზ. დ ღამბაშიძე მრავალი გამოგონების ავტორი იყო, აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, იყო თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 7 მოწვევის დეპუტატი. მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა აღინიშნა მთავრობის მაღალი ჯილდოებით —ორი შრომის წოდების დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მრავალი მედლით.

ზ. დ. ღამბაშიძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს სსრ სახმშენი; საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო; „საქმთავარწყალმშენი“; საქართველოს იდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; „საქსახწყალპროექტი“

რედაქტორი

ბ. ბედინეიშვილი.

ნიჭი და ოსტატობა

ოთარ მელვინეთუხუცესი — თვის საუკეთესო მსახიობი

გაზეთ „იზვესტიის“ ყოველკვირეულ დამატება „ნედელიას“ შემოღებული აქვს რუბრიკა „თვის მსახიობი“, რომელიც მკითხველებს აცნობს მთავარ წერილების საფუძველზე თავისებურ კონკურსში გამარჯვებულ თვის საუკეთესო მსახიობებს.

„ნედელიას“ მე-20 ნომერი იუწყება, რომ **აპრილის თვის საუკეთესო მსახიობად მკითხველებმა ერთხმად აღიარეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ოთარ მელვინეთუხუცესი,** რომელმაც მთავარი როლი შეასრულა სატელევიზიო ფილმში „გაგიმარჯოთ ყველას“ („ფიროსმანი“). მსახიობ ქალთა კონკურსში გაიმარჯვა ნატალია ანდრეიჩენკომ. მან მთავარი როლი შეასრულა მრავალსერიიან სატელევიზიო ფილმში „ვაჟკაცობა“. გაზეთი აქვეყნებს ჟურნალისტ ე. ბოგატირიოვის ინტერვიუს თვის საუკეთესო მსახიობებთან. („**კომუნისტის**“ **კორ.**).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს მიეძღვნა სახალხო თეატრებისა და თეატრალური კოლექტივების რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომელიც რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა თბილისში, აკ. ხორავას მსახიობის სახლსა და კავშირგაბმულობის კულტურის სახლში.

ჟიურიმ სსრ კავშირის სახალხო არტისტის დ. ალექსიძის თავმჯდომარეობით ლაურეატის სახელწოდება მიანიჭა ცხაკაიას, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სამტრედიის, ტყიბულის, ზესტაფონის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, სიღნაღის, ბორჯომის სახალხო თეატრებსა და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის თეატრალურ კოლექტივს.

დანარჩენ სახალხო თეატრებს გადაეცათ I და II ხარისხის დიპლომები.

რა გვიჩვენა ამ ოლიმპიადამ, რით იყო იგი აღსანიშნავი? უპირველესად დავინახეთ, რომ სახალხო თეატრების რეპერტუარში აღარ არის პრიმიტიული სპექტაკლები, უფრო ამაღლებული, საინტერესო გამხდარა მათი შემოქმედება.

აღსანიშნავია მასობრიობაც. რესპუბლიკაში არსებული 48 სახალხო თეატრიდან მეორე, დასკვნის ტურში მონაწილეობდა 26. გვიჩვენეთ 500-მდე სცენისმოყვარე მსახიობი.

ყოველივე ეს კი, ჩვენი აზრით, იმან განსაზღვრა, რომ სახალხო თეატრებში სამუშაოდ მოვიდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორები, სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ საშუალო სპეციალური ან უმაღლესი განათლება. მათ თან მოიტანეს საქმის სიყვარული და თავდადება, რაც იგრძნობა ყოველ მათს ნამუშევარში. მსახიობები (განსაკუთრებით ახალგაზრდები) ფიქრობენ, განიცდიან, აზროვნებენ... ვინც ნახა ცხაკაიას, სამტრედიის, სიღნაღის, ზესტაფონის, ნუკრიანის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპექტაკლები (რეჟისორები — გ. ბაბუჩიძე, მ. ქირია, თ. ვაშაკიძე, რ. აბესაძე, ნ. ბუცხრიკიძე, მ. აივაზოვი), უდავოდ გაიზიარებს ჩვენს აზრს.

წარმატებები იმის შედეგიც არის, რომ სახალხო თეატრებში გაძლიერდა სტუდიური, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, რასაც, უპირველეს ყოვლისა, ისევ სახალხო თეატრის რეჟისორებს უნდა ვუმადლოდეთ. ოლიმპიადაზე სწორედ ის სახალხო თეატრები წარმოჩნდნენ, რომლებშიც სტუდიური მუშაობა მაღალ დონეზეა დაყენებული და მას სისტემატური ხასიათი აქვს.

ოლიმპიადაზე წარმოდგენილი სპექტაკლები საინტერესო იყო ეახრობრივადაც.

რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, თითქოს სახალხო თეატრებში ყველაფერი რიგზე იყოს, მათ წინაშე ჯერ კიდევ ბევრი გადასაჭრელი პრობლემა დგას.

უპირველესად უფრო უნდა გაძლიერდეს სტუდიური მუშაობა. სახალხო თეატრებთან უნდა შეიქმნას ისეთი სტუდიები, რომელთა მეცადინეობა ეპიზოდური ხასიათისა არ იქნება.

მეტი ყურადღება სჭირდება რეჟისურის საკითხებს. როგორც აღვნიშნეთ, სასახარულოა, რომ ამ ბოლო დროს ჩვენს სახალხო თეატრებში სიამოვნებით მდიან სამუშაოდ ახალგაზრდები, პროფესიონალები, რომლებმაც გვერდი დაუმშვენეს გამოცდილ, უფროსი თაობის რეჟისორებს და გაგვახარეს კარგი სპექტაკლებით.

წინ საშური პერსპექტივებია

სახალხო თეატრების რესპუბლიკური ოლიმპიადის შემდეგ

შესაძლებლობებს. თეატრმა დიდი დაკვირვებით უნდა შეარჩიოს თითოეული პიესა და ასე შემნას საკუთარი სარეპერტუარო სისტემა და არა სხვისი მიბაძვითა და წამხედურობით.

ახლა მხატვრობაზე. სამწუხაროდ, სახალხო თეატრებში ძალიან ცოტა გვყავს თეატრალური მხატვარი. იქ მეტ წილად ფერმწერები ან კიდევ თვითნასწავლი მხატვრები მუშაობენ. ისინი კი კარგად არ იცნობენ თეატრის სპეციფიკას. ამ მხრივ სერიოზული მუშაობა გვმართებს.

რამდენიმე სიტყვა შეფობის თაობაზეც უნდა ვთქვათ.

სამოციან წლებში, როცა ჩვენში მასობრივად დაიწყო სახალხო თეატრების ფორმირება, კულტურის სამინისტროში შედგა შეფების სია. ესე იგი ყველა სახალხო თეატრთან გაფორმდა შეფობა — პროფესიული თეატრი. რა არ ივალდებულეს შეფებმა: სპექტაკლების მომზადება, მატერიალური დახმარება, რეჟისორების სტაჟირება და მრავალი სხვა. გავიდა დრო. ყველამ მიივიწყა შეფობა და აბა, დღესდღეობით, რომელი პროფესიული თეატრი დაიკვეხნის, სახალხო თეატრებს შეფობას ვუწევთ?

ნურავინ იფიქრებს, თითქოს შეფობა ძველი დეკორაციების და რეკვიზიტის ბალანსიდან ბალანსზე გადაცემით გამოიხატებოდეს. ჩვენ განსაკუთრებით შემოქმედებითი შეფობა გვჭირდება. სხვანაირად სახალხო თეატრების შემოქმედება ვერ განვითარდება.

დასასრულ თეატრალური კოლექტივების შესახებ. ოლიმპიადაზე, სამწუხაროდ, მხოლოდ 7 თეატრალური კოლექტივი წარდგა, მათ ურიგო სპექტაკლები როდი გვიჩვენეს. წითელწყაროს და ნუკრიანის თეატრალურმა კოლექტივებმა საუკეთესო შეფასება დაიმსახურეს. მაგრამ დასანანია, რომ რესპუბლიკაში რატომღაც არ იზრდება თეატრალური კოლექტივი, რომელიც სახალხო თეატრის სამეცნიერო წოდებას იმსახურებდეს. თეატრალური კოლექტივების შემცირებით მცირდება აგიტმხატვრული ბრიგადებისა და მხატვრული კითხვის წრეების რაოდენობაც. თეატრალური კოლექტივები ხომ სახალხო თეატრის და მხატვრული კითხვის წრეების საწყისი ფორმაა. ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ კულტურის დარგის მუშაკებმა.

ასეთია მოკლედ ჩვენი სახალხო თეატრების ავ-კარგი დღევანდელ ეტაპზე. მათ წინაშე ახალი პერსპექტივებია, უპირველესად კი II საკავშირო ფესტივალის სამზადისი.

ა. დევიძე,

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, დრამატურგი.

გმირთა დიდების მემორიალი

გუდაუთა. (**საკ. კორ.**). ახლახან ქალაქის ცენტრში, სსრ კავშირის კონსტიტუციის მოედანზე აღმართა სამამულო ომში დაღუპულთა დიდების მემორიალი.

ამ მოვლენისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა გუდაუთის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ახიბამ. მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ოზგანმა, დიდი სამამულო ომის ვეტერანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ხ. აიბამ, გუდაუთის რაიონთან სოცშეჯიბრებაში ჩაბმული ცხაკაიის რაიონის დელეგაციის წარმომადგენელმა მ. ქვარცხავამ, სამამულო ომის მონაწილემ. ო. კონჯარიამ, წვეგამდელმა ვ. ჯიკირბამ, პოეტმა რ. სმირმა და სხვებმა.

მემორიალის ავტორია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მარინე ეშბა, არქიტექტორი — თამარ ლაკირბაია.

დიდების მემორიალის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ პარტიული, საბჭოთა მუშაკები, მეზობელი რაიონების წარმომადგენლები.

● ●

სურათზე: სამამულო ომში დაღუპულთა დიდების მემორიალი გუდაუთაში.

ი. შენგელაიას ფოტო.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის თორმეტი ტურის შემდეგ 18 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს ოდესის არმიელთა გუნდი. ხარკოვის „მეტალისტს“ და ქუთაისის „ტორპედოს“ 16-16 ქულა აქვთ, ნიკოპოლის „კოლოსს“ — 15, ლანჩხუთის „გურიას“, კიშინიოვის „ნისტრუს“ და კიევის არმიელთა კოლექტივს — 14-14 ქულა. მეორე ლიგის მეცხრე ზონის გუნდების საკავშირო ასპარეზობის 13 ტურის შემდეგ კი ლიდერია აბოვიანის „კოტაიკი“ — 19 ქულა. სამრეკლოის „ლოკომოტივი“ 18 ქულით მეორე ადგილზეა, ხოლო სოხუმის „დინამოს“ გათამაშების ცხრილში 16 ქულით მესამე ადგილი უკავია.

ჩოგბურთი. იტალიის ღია ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ არგენტინელი ხოსე ლოის კლერკი და პარაგვაელი ვიქტორ პეჩი. გაიმარჯვა არგენტინელმა — 6:3, 6:4, 6:0. ფინალამდე კლერკმა დაამარცხა იტალიელი ადრიანო პანატა (6:3, 3:6, 7:6) და ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლი (3:6, 7:5, 6:0), ხოლო პეჩმა — ავსტრალიელი პეტერ მაკნამარა (6:2, 5:7, 7:6) და არგენტინელი ჟილიერმო ვილასი (7:6, 6:4, 7:6), დასავლეთ ბერლინში გამართულ ქალთა საერთაშორისო შეჯიბრებაში კი ყველას აჯობა რეგინა მარშიკოვამ (ჩეხოსლოვაკია). მან ნახევარფინალში დაამარცხა ავსტრალიელ დაინა ფრომჰოლცი (6:3, 6:3), ხოლო ფინალში — არგენტინელი ივონნ მადრიგი (6:2, 6:1).

ხელბურთი. თბილისში დამთავრდა საკავშირო თასის გათამაშების შერჩევითი შეჯიბრება ვაკთა გუნდებს შორის. ადგილობრივმა „ჭარიშხალამ“ სამივე მეტოქე — ბაქოს „აზერიტიფაკი“, რიგის „ცენტრნიეკსი“ და კაუნასის „გრანიტასი“ დაამარცხა და ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ეს შეჯიბრება მოსკოვში 1-4 ივნისს გაიმართება.

ჭადრაკი. ამსტერდამში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მერვე ტურში კარპოვი დაუზავდა პორტიშს, ჰორტი — მაილსს, რეიკავიკს. სმისლოვმა დაამარცხა ლანგეიეი, ლუბოეიეიმა — დონნერი. ტიმან-პოლუგაევსკის პარტია გადაიდო. რვა ტურის შემდეგ 5-5 ქულა აქვთ ტიმანს (1 გადადებული), ჰორტს, კარპოვს, პორტიშს და სმისლოვს. მომდევნო ადგილებზე არიან ვაკილეკი — 4,5 ქულა, პოლუგაევსკი — 3,5 (1), ლუბოეიეიმ, მაილსი და რეი — 3,5-3,5, დონერი — 2, ლანგეიეი — 1,5 ქულა. შეჯიბრების დამთავრებამდე დარჩა 3 ტური.

საქართველოს ზოოტექნიკურ-საევეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი

1981 წლის 31 მაისს 1[illegible] საათზე ინსტიტუტში შემნ[illegible] ლელთათვის აწყობს

„ლია კარის“ დღეს

ამბიტურიენტებს შეხვდებიან პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა. ა[illegible] ჩეულ სპეციალობასთან დ[illegible] კავშირებულ საინტერე[illegible] საკითხებზე მათ პასუხს გა[illegible] ცემენ რექტორატის, პარტიული და კომკავშირული კ[illegible] მიტეტის წარმომადგენლები. გაიმართება საუბრები ინ[illegible] ტიტუტის სტიპენდიატრის, მ[illegible] ცნიერების ცალკეული დარ[illegible] გებისა და მათი სპეციფიკ[illegible] შესახებ.

ზარშანდელი მისაღები გ[illegible] მოცდების საგნობრივი კ[illegible] მისიების თავმჯდომარეებ[illegible] ისაუბრებენ მისაღები გ[illegible] მოცდების თავისებურებებ[illegible] შესახებ.

მისამართი: თბილისი[illegible] კრწანისი, საქართ ვ ე ლ ო[illegible] ზოოტექნიკურ-სავეტერი ნ[illegible] რო სასწავლო-კვლევითი ინ[illegible] სტიტუტი, ავტობუსი № 2[illegible]

ტელევიზია

27 მაისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრეშია“ (მ.), 09.40 — „დილ[illegible] ვარჯიში (მ.), 10.05 — „მოამზ[illegible] 10.45 — ქართული დოკუმენტ[illegible] რი ფილმი „კინო და წლები[illegible] მესამე სერია, 12.05 — მხატ[illegible] რული ფილმი „დასეირნობდა ა[illegible] ლი ოიალზე“, 13.10 — „ეკონ[illegible] ჟურნალთათვის — მათემატიკ[illegible] 17.00 — მულტიპლიკაციური ფ[illegible] ლმები, 17.30 — შვვისწავლ[illegible] გერმანული ენა, 18.00 — მ[illegible] წავლეთათვის — „იცოცხლე. ფ[illegible] გნო“!, 18.30 — „ლირსსახსოვ[illegible] ლეები“ (სამხედრო პარადის[illegible] მშრომელთა დემონსტრაციის [illegible] პორტაჟის ვიდეოჩანაწერი), 20.[illegible] — ქართული მხატვრული ფილ[illegible] „მოიტაცეს თამარ ქალი“, 22.[illegible] — „ვრეშია“ (მ.), 22.35 — „ჩ[illegible] გობრები გვილოცავენ“ — მოკ[illegible] ელვირა უზუნიანი, 23.20 — „მ[illegible] ამბე“, 23.50 — „ქართული სა[illegible] რგის მაგიანე“.

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკ[illegible] კევს, 29 მაისს.

1966 წლის სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ქალაქ გომელში 1981 წლის 15 მაისს გამართული 1[illegible] მოგებათა ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

მოგება ხვდა სესხის ოთხმოცდაცხრამეტივე თანრიგის სერიებისა ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება
100805	20*)	1000	138179	18*)	500	172190	34*)	
101182	20*)	500	138674	1—50	40	172413	1—50	
102340	13*)	1000	138947	28